# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 ივლისი, 2011 წელი.

№122 (6733)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა!“ ⑥






უკუსვლებით წინ მივიწევთ... „ყინულმჭრელის“ ბორტით?

## ყინულმჭრელი „კაციტაძე“ ②

## სომხებმა ისევ გვიღალატეს, ამჯერად — გაეროში

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ რეზოლუციას, 57-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. რეზოლუციას საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან მხარი აზერბაიჯანმა დაუჭირა. რეზოლუციის წინააღმდეგ წავიდნენ რუსეთი და სომხეთი, თურქეთმა კი თავი შეიკავა. რეზოლუციის მხარდამჭერთა შორისაა ვანუატუც, რომლის ახალმა მთავრობამ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლად აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა.

რეზოლუციას მხარი შემდეგმა ქვეყნებმა დაუჭირეს: ალბანეთი, ანდორა, ანტიგუა და ბარბუდა, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, კანადა, კონგო, კოსტა-რიკა, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, გვინეა-ბისაუ, ჰონდურასი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, იაპონია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალავი, მალდივი, მალტა, მარშალის კუნძულები, მიკრონეზია, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვა, რუმინეთი, სენტ ლუსია, სენტ ვისენტი და გრენადი, სან მარინო, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, ტუვალუ, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ვანუატუ.

წინააღმდეგები იყვნენ: სომხეთი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა, ლაოსი, მიანმა, ნიკარაგუა, რუსეთი, სერბეთი, სუდანი, ვენესუელა და ვიეტნამი.

რეზოლუციის თანახმად, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების უფლებები დაცული უნდა იყოს. ასევე აუცილებელი უნდა იყოს მათი ქონების ხელშეუხებლობა. გათვალისწინებულია ისიც, რომ უნდა მორჩეს იძულებით დემოგრაფიული ცვლილებები. რეზოლუცია ასევე მოითხოვს, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, დევნილებისთვის და სხვა პირებისთვის შეუფერხებლად განხორციელდეს ჰუმანიტარული საქმიანობა.



## დომხალიც ამას ჰქვია!

„ექსიანს“ ბევრად მეტი უნდა, ვიდრე მილიონი „პოსლეზე“ ②

④ ჯერ ფაფხურია, დანარჩენი მერე ვნახოთ...

პოლიტიკურ ავანგარდად ③ გადაქცევის უნიკალური შანსი

„გაშესტიორკებული“ ④ „რვიანი“

დაივიწყეთ რეფერენდუმი! ③



⑪

## პირველი ნაბიჯი დიდი ცხოვრების გრძელ გზაზე



## კიწმარიშვილის პოლიტიკური ვირაჟები მეხსიერების გამოცოცხლება-განახლების საბაბია ⑤

## როცა ⑨ პოლიტიკოსები ჩხუბობენ, ჟურნალისტები გზებს ეძებენ...

ვაი ჩვენს პატრონს!

# ყინულმჭრელი „კაციტაძე“,

## ანუ რისი თუ ვისი წყალობით დაბანცალობს „ვასმიორკის მხაზველი“ ლოთივით უკვე „ჩამოქვსებულ-გაშესტიორკებული“ „რვიანი“ და რატომ ვერ გახდება ვერასოდეს „ახალ მემარჯვენეთა“ „კრეისერი“ ტატოს მერანივით თანამოძმეთათვის უვალი გზის გამთელავი


უკუსვლებით წინ მივიწევთ... „ყინულმჭრელის“ ბორტით?

**ერთხელ, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, დავწერე, საქართველო ჩვენი პლანეტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ საგამოფენო პავილიონადაც შესაძლოა ჩაითვალოს-მეთქი.**

**მართლაც, რას არ ნახავ აქ კაცი — მთას, ბარს, ცადაწვდილ მწვერვალებს თუ მყინვარებს, ზღვას, ტბებს თუ უამრავ მდინარეს, ამწვანებულ ველ-მინდვრებს თუ უდაბნოს... ოკეანის გარდა, ვგონებ, ყველაფერი გვაქვს...**

ის კი არა, თურმე ყინულის მასივებიც გვქონია, რაკი ბატონმა კახა კაციტაძემ გუშინწინ „კავკასიის“ ტელეეთერით განაცხადა, **ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ერთგვარი ყინულმჭრელი ვართ და ჩვენს მიერ გაყვანილ გზას აწი სხვები დაადგებიანო.**

რა თქმა უნდა, არც იმდენად ტვინგაყინულები ვართ, ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ და ბატონი კახას ღრმად მხატვრულ ნააზრევს ვერ ჩავწვდეთ!

ის კი არა, ეს ჯეროვნად ვერ შევუფას-დავუფასოთ კიდეც!

ჯეროვნად-მეთქი, იმად ვამბობ, რომ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყინულის საუფლოში გზის გაჭრა, მართალია, ერთობ ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი: ამას თავის დროზე, ყინულმჭრელი „ლენინიც“ ახერხებდა.

**მაგრამ ის, რაც ყინულმჭრელ „კაციტაძეს“** (გნებავთ, ყინულმჭრელ „ახალ მემარჯვენეებს“ძ **გაუკეთებია!..**

ამას სულაც არ ვამბობ ირონიით.

თუნდაც იმიტომ, რომ, **ჯერ ერთი,** „ლენინი“, უფროს თაობელებს ეხსომებათ, ატომური ენერგიით იყო უზრუნველყოფილი და, **მეორეც, რაც მთავარია** — სად ნატურალური ყინულის თუნდაც ერთობ სქელი ფენის გაჭრა და სად — ცხადია, გადატანითი, მაგრამ არცთუ მთლად იოლი მნიშვნელობით, გაყინულტვინიან ისეთ ადამიანებთან პაექრობა და სიმართლე-სამართლიანობის ძიება, რომელთაგან **ბევრისთვის ბუნებას გაწითლების უნარი წაურთმევია, ზოგ-ზოგისთვის კი ისიც დაუვიწყებინებია, ამ რვა წლის წინათ, 2003 წლის ნოემბერში, რეფერენდუმი ჩატარდა თუ პლებისციტი,** რომლის მეოხებითაც გამოიხატა ხალხის ნება — **150-მდე შემცირებულიყო პარლამენტის წევრთა რიცხოვნობა.**

ასეთებზე ხალხში იტყვიან ხოლმე, **ისეთი შტერია, კაცი ორ ბატსაც ვერ ანდობო.**

მაგრამ როცა ამას ამბობს არა ვინმე რიგითი უბირი, არამედ სულაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, მას უნდა ანდო კაცმა ამდენი ბა..., უკაცრავად, ამდენი პარლამენტარის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტი?

ამის შემხედვარე, ის ერთი ცნობილი შექსპირისეული შეძახილი ასეც შეიძლება „გადააპერიფრაზოს“ კაცმა — **„უნამუსობავ, ...უნდა გერქვას შენ“!**

სამი წერტილის ნაცვლად კონკრეტული გვარი (გვარებიძ და თანამდებობა (თანამდებობებიძ შეგიძლიათ, თავად ჩასვათ, ძვირფასო მკითხველო!

თუმცა სჯობს, კვლავ ყინულმჭრელ „კაციტაძეს“ დავუბრუნდეთ.

**ნუ მიწყენთ, ბატონო მამუკა, მაგრამ, თქვენ, ოპოზიციონერი, ხელისუფლებას ისეთ დოკუმენტზე რომ მოუწერთ ხელს, რომელი დოკუმენტიც რეფერენდუმის მეშვეობით გამოხატულ ხალხის ნებას სულაც ცალ ფეხზე იკიდებს, ქვეყნის უმთავრეს კანონს — კონსტიტუციას კი ორივე ფეხით თელავს, როგორ გგონიათ, თქვენი „გმირული შემართებით“ გაკვალული გზით მიიყვანთ კი ხალხს „ტაძრამდე“?**

თუ ისეა, ერთ ძველ სიმღერაში რომაა ნათქვამი:

**ტრაქტორი ხნავს**
**მინდორ-ველებს,**
**თავმჯდომარე**
**იფშვნეტს ხელებს —**
**თუ არ მოვა მოსავალი,**
**ამ ჩემს... და ამ ჩემს...?**

**ანუ იმ ბანკამდე ხომ მიმიყვანს, სადაც მილიონი ლარი დევს და პარლამენტშიც ხომ მომახვედრებს, ხოლო სხვებს თუ არ გამოადგებათ, აი დარდიო?**

ვწუხვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, მართლაც ასეა, ბატონო ყინულმჭრელო.

**ამიტომაც „გაშესტიორკდა“ თქვენი „რვიანი“, მთვრალი კაცის „ვასმიორკებს“ რომ ხაზავს, და ამადაც ვერ გახდება ვერასდროს თქვენი „ყინულმჭრელი“ ტატოს მერანივით თანამოძმეთათვის უვალი გზის გამთელავი!**

რუსლან რუსია

**P. S. იქნებ ერთობ მკვახედაც გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ ნუთუ არაფერს გეუბნებათ მარტო ის ფაქტი, რომ „თქვენს მიერ გაკვალულ გზას“ პირველი დაადგა, ანუ ხელისუფლების მიერ ოპოზიციური პარტიებისთვის ხელმოსაწერად „გამოფენილ“ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს პირველმა ხელი „ოპოზიციონერი“ თორთლაძის პარტიის წარმომადგენელმა მოაწერა?**

რ. რ.

განწირული გზა?!

# „ექვსიანს“ ბევრად მეტი უნდა, ვიდრე მილიონი „პოსლეზე“

## რამდენი თვეა დარჩენილი მორიგ არჩევნებამდე – 11 თუ 18?

**სათაურმა არ დაგაბნიოთ. გადაბირებული, თუ გაყიდული ორი პარტიისგან განსხვავებით, დარჩენილი „ექვსიანი“ გულგატეხილად სულაც არ გამოიყურება და ისევ საარჩევნო ცვლილებებზე ფიქრობს. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, — ასეც კი თქვა ზვიად ძიძიგურმა, — მართალია დავზარალდით, მაგრამ ყველაფერი წინა გვაქვს და ახლა ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული, რადგან „რვიანის“ კომპლექსები უკვე აღარ გვაწუხებსო“.**

ამ ეტაპზე ხელისუფლებამ გარკვევით თქვა, რომ ისინი მოლაპარაკების შედეგების გადახედვას არ აპირებენ, ამიტომ გაურკვეველია „ექვსიანის“ სამოქმედო გეგმაც და მათი სავალი ბილიკიც, მაგრამ იმედს პარტიული სუბიექტები მაინც არ კარგავენ.

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ობლადდარჩენილები სამოქალაქო საზოგადოებას შეხვდნენ და დახმარება გულწრფელად სთხოვეს. მართლაც, ძალიან ბევრი სოლიდური არასამთავრობო ორგანიზაცია, ექსპერტები და პოლიტიკოსები მივიდნენ „ექვსიანის“ მოსასმენად, თუმცა დიდი შედეგით მაინც ვერ დამთავრდა საკმაოდ საინტერესო დისკუსია თემაზე — რა იქნება ხვალ?

**ირაკლი ალასანიამ** საზოგადოებას სპეციალური ჯგუფის შექმნა შესთავაზა, რომელიც მათთან ერთად გაწერს ყოველდღიურ სამოქმედო გეგმას. არც ის გამორიცხა, რომ ხელისუფლების მხრიდან წნეხი გაიზრდება იმ პარტიების მიმართ, რომელთაც ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს. მისი თქმით, ყველაზე უმთავრესი მაინც მედიის თავისუფლების მიღწევის კუთხით გააქტიურებაა, რაშიც არანაკლები წვლილი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ხელისუფლებისადმი ზემოქმედებას მიენიჭება. **„თუმცა მარტო საარჩევნო გარემოთი ნუ შემოვიფარგლებით, საზოგადოებას უნდა გავაცნოთ ყველა ის პრობლემა, რაც ქვეყანაში არსებობს, განსაკუთრებით, რეგიონებში. იქ მხოლოდ სააკაშვილის აქტიურობას ხედავენ, თუ როგორ ავითარებს ინფრასტრუქტურას, ჩვენი ხმა კი საერთოდ არ ესმით. სწორედ ამისთვის გვჭირდება სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა“,** — აღნიშნა მან.

ეს მოსაზრება გაამყარა ჟურნალისტმა **ნინია კაკაბაძემ: „რაც უნდა ვიძახოთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სააკაშვილის წინააღმდეგ არის განწყობილი, თავის მოტუებაა, ერთ-ერთმა პრესტიჟულმა უცხოურმა ორგანიზაციამ თავისი სურვილით ჩაატარა გამოკითხვა. რეიტინგს უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს. ჩემთვის წინასწარ გახდა ცნობილი შედეგები. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების აღებული კურსი — მედიაში პურისა და სანახაობის პოლიტიკის გაჩაღებისა, აშკარად ჭრის. ამით თვითონაც გაოცებულები არიან ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები. ასე რომ, გირჩევთ თქვენი მთავარი სამიზნე გახდეს მედია მონიტორინგი, განურჩევლად ყველა არხზე. აუცილებლად უნდა გააგებინოთ მოსახლეობას, რომ ეს ქვეყანა არ არის ისეთი ლამაზი, როგორიც ტელევიზორიდან ჩანს“.**

„ექვსიანის“ წევრები კოორდინირებულ ქმედებაზე, უფრო მეტი, ბლოკის შექმნაზეც კი ალაპარაკდნენ. გადაწყვეტილება მიღებული არა აქვთ, მაგრამ სულ რაღაც ერთ კვირაში გახდება ცნობილი მათი პოზიცია, 8 ივლისს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში, სადაც ასევე დიდი შეხვედრის გამართვას გეგმავენ.




კობა დავითაშვილი ბლოკის შექმნის თაობაზე საზოგადოების აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მან არათუ ექვსი პარტიის, არამედ სრულიად სამოქალაქო სექტორის ინტეგრაციაც არ გამორიცხა, რასაც მაინცე და მაინც აღფრთოვანებით არავინ შეხვდა. განსაკუთრებით ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი გააპასდა, რომელმაც პირდაპირ მიახალა პოლიტიკურ ლიდერებს, თქვენ რაც გინდათ ის შექმენით, ბლოკი თუ ალიანსი, მაგრამ ჩვენ ამ გაუგებრობაში გაერთიანებას სულაც არ ვაპირებთო.

სამაგიეროდ უფლებადამცველი **ზაქარია ქუცნაშვილი** უფრო ლოიალური აღმოჩნდა ამ იდეის მიმართ: **„თქვენ ვერაფერს გახდებით, თუ სამოქალაქო საზოგადოებამ არ დაგიჭირათ მხარი. თანამშრომლობა თქვენსა და ჩვენს შორის აუცილებელია. 6 პარტიის ბლოკად ჩამოყალიბება შეიძლება ღირდეს კიდეც, მაგრამ ჯერ ნაადრევი მგონია. ახლა უმჯობესია, თქვენი თემატური გაერთიანება. დაგიჭერთ მხარს იმიტომ, რომ ეს შანსს აჩენს“...**

თემები კი საკმარისია. თუნდაც პარლამენტართა ოდენობის გაზრდის საკითხი, რომელიც დღემდე ვერ გადაწყვეტილა, რა გზით უნდა მოხდეს: კონსტიტუციის „ჩასწორებით“ თუ რეფერენდუმით? არანაკლებ მნიშვნელოვანი, უფრო სწორედ უმნიშვნელოვანესი თემაა: რამდენი თვეა დარჩენილი მორიგ არჩევნებამდე — 11 თუ 18, ანუ წელიწადნახევარი?

შეხვედრაზე მისულმა **ეკა ბესელიამ** „ექვსიანს“ არც კომპლიმენტები დააკლო და არც საყვედურები: **„დღეს უფრო სიმპათიურად გამოიყურებით, ვიდრე „რვიანის“ ფორმატში. ჩემი აზრით, თანამშრომლობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. არის არაერთი საკითხი, გარდა იმ მზაკვრული შემოთავაზებისა. სიების გადამოწმების ვადები 2012 წლის ივლისამდე გადაიტანეს. არადა, მაისში საპარლამენტო არჩევნები უკვე დამთავრებული უნდა იყოს, ანუ ეს არის ძალაუფლების უზურპაცია და მცდელობა იმისა, რომ საპარლამენტო უფლებამოსილების გაზრდა მოხდეს, რომელსაც, ალბათ, ავტომატურად მოჰყვება საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივება. კონსტიტუცია აწესებს კანონიერ ვადებს, მაგრამ ქვეყანაში რეალურად „ნაციონალური ვადები“ გვაქვს. ამ თემაზე ღირს ბრძოლა და ეს ძალიან პრინციპული საკითხი უნდა გახდეს.**

**ზაფხული, ეს ის პერიოდია, როცა ხელისუფლებას მსუყე ნიადაგი აქვს რეპრესიებისთვის. ამას არც ირაკლი ალასანია უარყოფს. თქვენ თანადგომას ითხოვთ. გასაგებია, მაგრამ თავად რატომ იყავით ინდიფერენტულები, როცა სამოქალაქო საზოგადოება აქციებს მართავდა რეპრესიების წინააღმდეგ? არც მე ვიყავი 26 მაისის დემონსტრაციის ორგანიზატორი და არც თქვენ, მაგრამ როცა ხალხს თანადგომა სჭირდება, სოლიდარულები უნდა ვიყოთ“,** — უსაყვედურა მან კოლეგებს.

ქართული აკადემიის წევრის **ნუკრი ქანთარიას** განცხადება და რჩევა „ექვსიანის“ მისამართით ასეთია: **„საკითხი მარტივია — არ გვინდა ძალადობა, არამედ გვინდა სამართლიანი არჩევნები, მაგრამ გასაკეთებლად ძალიან რთულია. ორი პარტია დანებდა ხელისუფლების ულტიმატუმს, დანარჩენები გამოწვევების წინაშე დგანან. არჩევნებისადმი ნდობა უნდა გაუჩნდეს საზოგადოებას, რასაც ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდება. სამოქალაქო სექტორი დავეხმარებით ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ მერე არა. პოლიტიკოსები იმიტომ არიან, რომ გამოსავალი თავად იპოვონ. საზოგადოებაში ემოციური ფონი არსებობს, მაგრამ მას სჭირდება კალაპოტი. „ექვსიანს“ მოუწევს ტონის ამაღლება“.**

ტონალობა არც ახლა და არც „რვიანის“ ყალიბში არ აკლდათ პოლიტიკოსებს, მაგრამ ხელისუფლება, რატომღაც აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა. ვის მიუძღვის ბრალი? — ისევ პოლიტიკოსებს! წინ 8 ივლისი გველოდება. მაგრამ, როგორც იცით, კალათბურთის სასახლე არც თუ წარმატებით აქვთ დაცლილი პარტიათა ლიდერებს...

თეა მოსია

პოზიცია

# „ექვსიანს“ პოლიტიკურ ავანგარდად გადაქცევის უნიკალური შანსი აქვს

**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრება ექსპერტ დემურ გიორხელიძეს**



**— ბატონო დემურ, „მემარჯვენეებისა“ და ქდმ-ს მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების წინადადებების მიღებამ, „რვიანის“ დაშლის გარდა, საზოგადოებაშიც საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?**

— „რვიანი“ საკმაოდ ამორფული წარმონაქმნი იყო. იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომელიც ქდმ-ს ჰქონდა, მას შეეძლო თავისი ხაზი ბოლომდე დამოუკიდებლად გაეტარებინა და არ ყოფილიყო „რვიანის“ მონაწილე, რომელშიც, მისი შეხედულებებიდან გამომდინარე, ბოლომდე დარჩენის პერსპექტივა მომგებიანი არ იყო. იგივე შეიძლება ითქვას სხვაზეც. ვერ ვხედავ ტრაგედიას იმაში, რაც მოხდა. პრინციპში პოლიტიკური ძალები იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომელსაც იღებენ, აგრეთვე, იმ რისკებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებს თან სდევს.

როგორც ვნახეთ, საზოგადოებაში მომხდართან დაკავშირებით საკმაოდ ნეგატიური განწყობები გაჩნდა. თუმცა, ქართული საზოგადოების პოლიტიკური მეხსიერება გრძელვადიანი არ არის და, პრაქტიკულად, უახლოესი წარსულის მოვლენებსაც ივიწყებს. ასე რომ, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა და როგორი განწყობით მივა მომავალ არჩევნებამდე საზოგადოება, ძნელი სათქმელია. თუმცა, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, მომავალ არჩევნებამდე ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი არ ემუქრება და ყოველ მიზეზგარეშე დომინირებული პოლიტიკური ძალა დარჩება. თუ, რა თქმა უნდა შექმნილი სიტუაციით არ ისარგებლებს ის პოლიტიკური ძალა და ჯგუფი, რომელიც უკვე ექვსი პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება.

**— ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ხელისუფლებასთან „მემარჯვენეების“, ქდმ-ს, ედპ-სა და სხვათა მიერ ხელმოწერილი შეთანხმება პრაქტიკულად უმწვავესად გააკრიტიკეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა კი განაცხადა — „სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ ის საკითხები, რაც მმართველმა გუნდმა ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზა, უკანონო და დისკრიმინაციულია“. ხელისუფლებამ, პრეზიდენტის ჩათვლით, მომხდარი სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს. თქვენი აზრით, რატომ აქვთ მომხდართან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავებული პოზიციები ხელისუფლებას და ამჯერად სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილ ოპოზიციურ ჯგუფებს?**

— შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული წინადადებები კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამ წინადადებებს რეალური ლეგიტიმაცია არ გააჩნია და გამოდის, რომ ხელისუფლება კონიუნქტურული მოსაზრებების გამო მზად არის, კვლავ შეცვალოს კონსტიტუცია და ეს გააკეთოს არა სახელმწიფოს მშენებლობის გრძელვადიანი პერსპექტივის საჭიროების, არამედ წმინდა კონიუნქტურული თვალსაზრისის გამო.

ასეთივე კონიუნქტურული იყო ყველა ის ცვლილება, რომელიც გატარდა 2003 წლის შემდეგ. მაშინ კონიუნქტურამ თავისი გაიტანა და დღეს იგი ხელისუფლებისთვის არაფერს არ წარმოადგენს. აშკარაა, რომ ხელისუფლება კონსტიტუციას პატივს არ სცემს და დღესვე თანახმაა, იმის მიხედვით შეცვალოს, რაც სულ ცოტა ხნის წინ მიიღო.

ხელისუფლებამ ოპოზიციას იმდაგვარი რამ შესთავაზა, რასაც მოქმედი კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა. გასაგებია, რომ ხელისუფლებას პარლამენტში ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა, მაგრამ უმრავლესობა არ არის ის ინსტრუმენტი, რომელიც სიმართლის აშკარა მაჩვენებელი შეიძლება იყოს. არც ერთ ქვეყანაში ასეთი საკითხები არც უმრავლესობით და არც საკონსტიტუციო უმრავლესობით არ წყდება. ხელისუფლება ამით თავს არ იწუხებს და მზადაა გააკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის.

**— „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილის შეფასებით, ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პირობები მიიღეს, პრაქტიკულად დათანხმდნენ, რომ მომავალ პარლამენტში „ნაცმოძრაობას“ კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება. რამდენად საფუძვლიანია დავით ბერძენიშვილის პროგნოზი?**

— ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლებას მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება, მას პოლიტიკის და პოლიტიკაში არსებული დღევანდელი სიტუაციის არც არაფერი გაეგება და რეალობის აღქმა არ გააჩნია. „ნაცმოძრაობა“ საკონსტიტუციო უმრავლესობას პირადად აიღებს, თუ სატელიტ პარტიებთან ერთად, რომლებიც არანაირ პარტიებს არ წარმოადგენენ, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ხელისუფლებას 2012 წლის არჩევნებში აუცილებლად ეყოლება საკონსტიტუციო უმრავლესობა, თუ ქვეყანაში სხვა მოვლენები არ განვითარდა.

**— „ექვსიანმა“ უკვე განაცხადა, რომ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ბრძოლას ფართომასშტაბიანი მოძრაობის გაშლით გააგრძელებს. რამდენად სავარაუდოა, რომ „ექვსიანი“ შეძლებს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად სერიოზული შედეგის მიღწევას?**

— თუ ვითარებას წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით შევაფასებთ, ახლა „ექვსიანს“ აქვს უნიკალური შანსი, პოლიტიკურ ავანგარდად იქცეს. თუ პროცესები ამ მიმართულებით განვითარდა, „ექვსიანს“ არჩევნებზე სერიოზული შედეგის მიღწევა შეუძლია. რამდენად შეძლებენ „ექვსიანში“ გაერთიანებული პოლიტიკური სუბიექტი აბსოლუტურად კონსტიტუციურად და კანონიერად ერთად დგომას, მიზანმიმართულად პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას, ეს მათზეა დამოკიდებული. ვიმეორებ, „ექვსიანს“ აქვს უნიკალური შანსი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდად იქცეს, მაგრამ არ ვიცი, შეძლებს თუ არა ამ შანსის გამოყენებას. რა თქმა უნდა, მას ამისათვის დასჭირდება კოორდინაცია სხვა ძალებთან, როგორ გააკეთებს ამას, ტექნიკის გარდა, შორსმჭვრეტელობისა და გამჭრიახობის საქმეა. პოლიტიკური ძალა, რომელიც არსებულ პოლიტიკურ ფონზე შეიძლება გამოჩნდეს და ამ მოძრაობის მიღმა დარჩება, შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდეს.

**— თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ვინც ხელისუფლების პირობებს არ მიიღებს, ყველა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება?**

— ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ამას ეცდება; თუკი ხელისუფლებისადმი პოლიტიკური წინააღმდეგობა აბსოლუტურად კანონიერების ფარგლებში არ იქნა, ხელისუფლება ამას გააკეთებს და ორი აზრი არ არსებობს, რომ ყველას თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებს. მეორე მხრივ, გაუგებარია, რატომ უნდა დაგითმოს ხელისუფლებამ, თუ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენ? ხელისუფლება თავის ჩანაფიქრის განხორციელებას მხოლოდ მაშინ ვერ შესძლებს, თუ მისი საპირწონე პოლიტიკური ძალა ქვეყანაში რეალურად იარსებებს.

**კობა ბენდელიანი**

SIC!

# დაივიწყეთ რეფერენდუმი

**ოპოზიციური „რვიანი“ აღარ არსებობს. „ნაციონალური მოძრაობის“ შეთავაზებებს, რასაც თამამად შეიძლება ულტიმატუმიც ვუწოდოთ, ოპოზიციური გაერთიანების ორმა და საპარლამენტო ოპოზიციის ხუთმა სუბიექტმა მოაწერა ხელი („ქრისტიან-დემოკრატები“ იქაც ითვლებიან და აქაც).**

ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ერთ-ერთ პუნქტად პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდაა დაფიქსირებული. ძნელი სათქმელია, რისთვის დასჭირდათ ეს — მომავალ არჩევნებში ოპოზიციასთან სავაჭრო „არსენალის“ გასაზრდელად, თუ უბრალოდ, მორიგი აჟიოტაჟისა და ხმაურის ასატეხად. რაც შეეხება წინასაარჩევნო ვაჭრობას, ამას სულ მალე დავინახავთ, ხმაური კი უკვე ატეხილია.

ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან ხსენებული პუნქტის მოღებით, მოხდება 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმით გამოხატული ხალხის ნების უგულებელყოფა. სწორედ მაშინ გადაწყდა პარლამენტის დეპუტატთა რიცხვის 235-დან 150-მდე შემცირება.



„რეფერენდუმის შესახებ“ კანონის თანახმად, „რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით; რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით“.

თუმცა, არსებობს მრავალი ხერხი, რომლის წყალობით შესაძლებელია კანონის დარღვევა. მაგალითად, ამ არასასურველი კანონის სასურველით შეცვლით ან უკვე არსებულით მანიპულირებით, ჩატარებული რეფერენდუმის არასრულფასოვან, უხარისხო რეფერენდუმად გამოცხადებით...

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა კაციტაძე** ამ მეორე ვერსიას ავითარებს და აცხადებს, რომ 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების საფუძველი არ ყოფილა, რადგან საკამათო დღესა და საკამათო არჩევნების პერიოდში ჩატარდა. იმ დღეს რეფერენდუმის პარალელურად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სიების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო მაჟორიტარული სიებით ჩატარებული — კანონიერად. რა კავშირშია პროპორციული არჩევნების გაბათილება რეფერენდუმთან, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, მამუკა კაციტაძე საერთოდ, შევარდნაძისდროინდელ საქართველოს არ ენდობა...

თავის მხრივ ორგანიზაციის „პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ დეპუტატთა რაოდენობის შემცირება მათი იდეა იყო და რეფერენდუმის შედეგები თავის დროზე არც უზენაეს, არც საკონსტიტუციო სასამართლოს ეჭქვეშ არ დაუყენებიათ; რეფერენდუმის შედეგების შესრულება მოითხოვა ვენეციის კომისიამაც. მაშინდელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარე **ნანა დევდარიანი** ამბობს, რომ არსებობს 2003 წელს ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებული ყველა ოქმი და დოკუმენტაცია, რომელთა ნახვა შესაძლებელია.

პოლიტოლოგი **გია ნოდია** „იურიდიული თვალსაზრისით“ ცდილობს მოსახლეობის ნების გაბათილებას და აცხადებს: „დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა-შემცირების საკითხი, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, პარლამენტის გადასაწყვეტია. პარლამენტს ამის გაკეთება რეფერენდუმის გარეშეც შეეძლო. თუმცა, რადგან რეფერენდუმი ჩატარდა, ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემას ქმნის“.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მიხეილ მაჭავარიანი** კი საერთოდ უარყოფს 2003 წლის 2 ნოემბერს რეფერენდუმის ჩატარებას. მისი აზრით მაშინ ჩატარებულ ღონისძიებას საერთოდ არ შეიძლება დაერქვას რეფერენდუმი, ვინაიდან გასაგები მიზეზების გამო მასში ვერ იღებდა მონაწილეობას საქართველოს მთელი მოსახლეობა. მაჭავარიანის აზრით ეს იყო უფრო პლებისციტი, ვიდრე — რეფერენდუმი...

არადა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარეები ამბობენ, რომ არსებობს რეფერენდუმის დანიშვნასთან, ჩატარებასთან და შედეგების აღრიცხვასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია, სადაც **შავით თეთრზე წერია, რომ ტარდება რეფერენდუმი;** ბოლოს და ბოლოს, ცოცხალია ის ხალხიც, რომელიც ითხოვდა ამ რეფერენდუმის დანიშვნას და მასში მონაწილეობდა. მავანნი კი ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი საკამათოა, უკანონოა ანდა, სულაც არ მომხდარა. ვის უნდა მოვუსმინოთ, ვირწმუნოთ, რომ გავარკვიოთ სიმართლე. არც არავის, კანონის გარდა, რომელსაც, სამწუხაროდ, საკუთარ თარგზე ჭრიან და კერავენ, უკვე მერამდენედ.

**დავით შალიკაშვილი,**
Presage.tv

ინფორმაცია

## საქალაქო სასამართლომ ოქრუაშვილს პატიმრობა შეუფარდა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა წარსულში ნასამართლევი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შესახებ გუშინ განიხილა.**

**— ირაკლი ოქრუაშვილს ბრალად ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით.**

**აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მსჯავრდებულია განზრახ დანაშაულის ჩადენისათვის, ამასთანავე სხვა ბრალდების საქმეზე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მას ბრალად ედება ძალადობრივი ხასიათის განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. წარდგენილი ბრალდების თანახმად, მან საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში ჩაიდინა განზრახ დანაშაული, რის გამოც არსებობს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, — აღნიშნულია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

**ეგრეთ წოდებული „რვიანის“ რეიტინგი მას შემდეგ უფრო დაეცა, როცა მან 26 მაისის აქციების ხელმძღვანელთა მკაცრი კრიტიკა წამოიწყო. ეს „რვიანში“ შემავალმა პარტიებმა აშკარად იგრძნეს და ამჯერად, ასე ვთქვათ, კრიტიკის მთელი სიმძიმე ხელისუფლების არაადეკვატურ მოქმედებაზე გადაიტანეს. თუმცა მათ ვერც ამ დიპლომატიურმა მანევრირებამ უშველა და „რვიანის“ რეიტინგი ნულამდე შემცირდა. ამგვარმა ვითარებამ განსაკუთრებით შეაშფოთა მათი ლობისტები აშშ-დან. ამერიკელებს ხომ სურთ, რომ სააკაშვილის რეჟიმს რაც შეიძლება მეტად გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე, შემდგომ კი შეიცვალოს თავიანთი მარიონეტული ხელისუფლებით. რატომ და რისთვის სურთ ასე? სხვა თემაა და ამჯერად მასზე არ შევჩერდებით.**

# „გაშესტიორკებული“ „რვიანი“,

## ანუ შეძლებს კი თავის გადარჩენას შეფერთხილი „რვიანი?“

ამ ბოლო დროს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „რვიანს“ (თუმცა იგი ექვსიანით შეიცვალა, უფრო ამომწურავად და ყოვლისმომცველად რომ ვთქვათ, რვიანი „შესტიორკად“ გარდაისახა) საშუალება მიეცა რეიტინგის ოდნავ ამაღლებისა. როგორც ცნობილი გახდა, სააკაშვილის სატელიტმა პარტიამ (ქრისტიან-დემოკრატიულიძ და იდეურად ყოველმხრივ დაბნეულმა ახალმა მემარჯვენეებმა ხელისუფლებასთან ერთად არჩევნებთან დაკავშირებით ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რაც საქმის კურსში მყოფი ადამიანების თქმით, არაფრით არ აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს.

რატომ არიან ქრისტიან-დემოკრატები სააკაშვილის სატელიტები, ახალი მემარჯვენეები – იდეურად დაბნეულები, ხოლო ორივენი ერთად – მერკანტილისტები, ესეც სხვა თემაა და სტატია რომ არ გადაიტვირთოს, ამჯერადაც ვერ დავაკმაყოფილებთ ამ მხრივ მკითხველის ცნობისმოყვარეობას.

* * *

თუ აქამდე რვიანი მხარს არ უჭერდა ქუჩის აქციებს (განსაკუთრებით ალასანიაძ ამჯერად „ჩამოექვსეული“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების უპირველეს საშუალებად ქუჩის აქციებს მიიჩნევს.. ხალხმა უკვე კარგად გააცნობიერა ალასანიას ზრახვები და მისი ხელმძღვანელობით მოწყობილ აქციებს მთელი გულისყურით არ მოეკიდება; საერთოდ, გაიცნობიერა ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. არჩევნების ჩატარების მიუღებლობას შემდეგი ფაქტორებიც განაპირობებს: საქართველოს მრავალეროვნულობა და მომეტებული მიგრაცია. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი საზღვარგარეთ იმყოფება. ემიგრანტები თავიანთ მშობლებს, ახლობლებს, ნათესავებს ფულს უგზავნიან. ხოლო ასეთმა გარემოებამ ემიგრანტების ხელის შემყურე ადამიანები ობივატელებად და ინდიფერენტულ არსებად აქცია. ესენი ასე მსჯელობენ: დაგვანებეთ ხალხო თავი, გვაცალეთ ნათესავების მიერ გამოგზავნილი ფულის მშვიდობიან გარემოში ხარჯვაო. ამ კატეგორიის ადამიანები ფიქრობენ, რომ ხელისუფლების შეცვლა დიდ არეულობას გამოიწვევს.

არის კიდევ მრავალი ფაქტორი, რომელთა ღრმა ანალიზი და დაკონკრეტება ეროვნული საიდუმლოს გამომზეურებას ნიშნავს, რის გამოც ამგვარ ქმედებას თავს ვარიდებთ. ასეთ პირობებში გვრჩება ერთადერთი გამოსავალი – ხალხმრავალი მშვიდობიანი გამოსვლები, საყოველთაო დაუმორჩილებლობა, რის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდება თვით სატანკო შენაერთებიც კი.



* * *

ჩვენ, რასაკვირველია, ამერიკელების მიერ შემოთავაზებული ინდივიდების ხელისუფლებაში წინააღმდეგი არ ვიქნებოდით, თუ ისინი მართლაც შეძლებდნენ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, მაგრამ „ექვსეულში“ შემავალ პარტიებს არ ძალუძთ დაკისრებული ამოცანების შესრულება. – არც ერთ მათგანს არ ძალუძს რეალობისთვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის შემუშავება; არ ძალუძთ კრიტიკულ მომენტში სწორი გადაწყვეტილების მიღება. მათი მხრიდან არასოდეს გვსმენია კონკრეტული წინადადებები, არ მიგვიღია საკითხის განზოგადება და მოვლენების ღრმა ანალიზი, რაიმე პროცესიდან კანონზომიერების დადგენა. მათთვის ყველაფერი ეს უცხო ხილია.

რაც შეეხება „ექვსეულის“ ლიდერს ალასანიას. რასაკვირველია, იგი ბუნებრივად წარმოჩენილი ლიდერი არ გახლავთ. ამერიკელებმა შემოგვთავაზეს... იქ მუშაობდა, გაეროში, ინგლისური იცის;“ შეატყვეს რომ დამჯერებელია, კარიერისტია, კომფორტული ცხოვრების მოყვარული... მისგან აშკარად გამოსჭვივის მარიონეტი, ამის გამო მას აქვს უნარი, პირადი ინიციატივა საკუთარ არსში ჩაკლას. გამოდის, ამერიკელებისთვის ალასანია ყოველმხრივ მისაღები ინდივიდია.

მის ირგვლივ ამჟამად მყოფმა პარტიებმა უმალვე იგრძნეს ეს გარემოება და, როგორც ფუტკრები მიესევიან შაქარმოყრილ საზამთროს, ამგვარი განწყობით უყოყმანოდ დადგნენ ალასანიას გვერდით.

ალასანიას მოვლენების სიღრმისეული შრეების ათვისება რომ არ ძალუძს, სატელევიზიო გამოსვლებიდან ნათლად ჩანს. ვერც ერთ მის გამოსვლაში ვერ იპოვით ჭეშმარიტი პოლიტიკური არსით განზავებულ ფრაზას. რომ იტყვიან, ზემოხსენებული გამოსვლები ცარიელი ლათაიობაა და მეტი არაფერი.

ერთხელ ჟურნალისტმა ალასანიას ასეთი კითხვა დაუსვა: უჭერდა თუ არა მხარს სააკაშვილს, როცა მან კოდორის ხეობაში ქართული ჯარი შეიყვანა და იქ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა განათავსა? – მან უყოყმანოდ უპასუხა: ვუჭერდი, სწორი ნაბიჯი იყოო... არადა, ამ მეტად გაუმართლებელმა ნაბიჯმა დაგვაკარგვინა კოდორის ხეობა. აფხაზები, ასე ვთქვათ, ეგუებოდნენ საქართველოს შემადგენლობაში კოდორის ხეობის დე ფაქტოდ ყოფნას. ზემოხსენებულმა ნაბიჯმა აფხაზებს საბაბი მისცა ეს ხეობა მიეერთებინათ.

თუ ჩემს მოსაზრებას ალასანია და თავისი მომხრეები არ დაეთანხმებიან, მაშინ მან ჩამოაყალიბოს, რა არის საჭირო ქვეყნის გადასარჩენად; კერძოდ:

1. განსაზღვროს ქვეყნის საერთო მდგომარეობა;
2. დაასახელოს კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები;
3. შეიმუშაოს რეალობისთვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდელი;
4. განსაზღვროს, რას ნიშნავს საყოველთაო ეროვნული თვითშეზღუდვის ცნება. ამჟამად ქართველებისათვის ჰაერივით საჭიროა ეროვნული თვითშეზღუდვის უნარის გამოვლენა;
5. პრობლემები დაყოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად;
6. მეცნიერულად გააანალიზოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზეზები და დასახოს მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზები; 7. გააანალიზოს უახლესი წარსულის (მე-20 საუკუნის დასაწყისიდანძ და აწმყოში მიმდინარე პროცესები, პირუთვნელად შეაფასოს ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსთა საქმიანობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ალასანია და არც მის გარშემო მყოფი პარტიები არ არის მზად ამ რთული ამოცანების შესასრულებლად.

შეიძლება მკითხველი ასეთნაირადაც შემომედავოს: რას ერჩით ალასანიას, ჩვეულებრივი ზრდილობიანი, გაწონასწორებული ახალგაზრდა კაცია, რომლის მსგავსი საქართველოში მრავალიაო. სწორედ რომ, მრავალია, – ეს გვაშფოთებს. ქვეყნის პრეზიდენტი ყველასგან გამორჩეული უნდა იყოს, თანაც დაბრძენებული და მრავალმხრივ გამოცდილი. ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტზე სათანადო კანდიდატურის შერჩევა იოლი საქმე არ არის! ასე ჰაიჰარად რომ ვირჩევდით პრეზიდენტებს, იმიტომ მიგვდის საქმე ცუდად.

თითოეული მოქალაქე, რომელსაც ძალუძს ინდივიდი ყველა მონაცემით პირუთვნელად შეაფასოს, ქვეყნის წინაშე ვალდებულია, ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, თუ თავს არავინ აიტკივებს და „არვაწყენინოს“ პოლიტიკას დავადგებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის პრეზიდენტად კვლავ შეუფერებელი პიროვნება მოგვევლინება.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტზე ან რომელიმე სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე ალასანიას საკუთარი თავი რომ წამოეყენებინა, შეიძლება მისთვის მხარიც კი დამეჭირა. მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტობა, როგორც იტყვიან, ხელწამოსაკრავი საქმე არ გახლავთ.

მომიტევონ ალასანიამ და მისმა მომხრეებმა, პრეზიდენტობის კანდიდატს ასე მკაცრ პირობებს რომ ვუყენებ.

**ვაჟა ქლენტი**

SIC!

# ჯერ ფაფხურია, დანარჩენი მერე ვნახოთ...

**„რვიანის“ დაშლის შემდეგ პარლამენტში ოპოზიციურ ძალთა ახალ გადალაგებაზე დაიწყეს ფიქრი და გამორიცხული არ არის, რომ ეს ფრაქცია ჯონდი ბაღათურიამ შექმნას. ყოველ შემთხვევაში, ამის მსურველი 5 დეპუტატი უკვე არსებობს.**

შეგახსენებთ, რომ დღეს მოქმედი რეგლამენტის თანახმად, პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად 6 დეპუტატია საჭირო.

იმის გამო, რომ არანაციონალები ძირითადად, ორ ე.წ. ოპოზიციურ ფრაქციაში არიან გაერთიანებულნი, ახალი ფრაქციის შექმნა გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენდა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ არსებული რეალობის გათვალისწინებით ნაციონალების თანხმობის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. საპარლამენტო კულუარებში კი იმასაც ამბობდნენ, რომ ხელისუფლებას მეტი ოპოზიციური ფრაქცია არ სურს და, შესაბამისად, ახალი ფრაქციის შექმნისთვის თავად აღარ იზრუნებდა.

მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ, ერთი მხრივ გია ცაგარეიშვილს არ სურდა ჯონდი ბაღათურიასთან ფრაქციის შექმნა და, მეორე მხრივ, თავად ჯონდის სურდა საკუთარი ფრაქციის შექმნა და არავის ფრაქციაში არ აპირებდა გაწევრებას.

პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნა მაშინაც იყო აქტუალური, როდესაც პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნდა და მის „ვიცე-სპიკერობის“ სურვილზე გავრცელდა ინფორმაცია, თუმცა ის ახლა უკვე დიპლომატიურ სამსახურშია.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, მაგრამ სათანადო რაოდენობის დეპუტატთა არარსებობის გამო განვითარება ვერ ჰპოვა. თუმცა, მას შემდეგ, რაც პეტრე მამრაძემ და თამაზ დიასამიძემ უმრავლესობა დატოვეს, ეს საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა. შედეგი კი ის არის, რომ დღემდე არანაირი ფრაქცია არ შექმნილა.

თუმცა, გუშინ ექვსი არანაციონალი დეპუტატი ისევ ერთად გამოჩნდა. ახალი ფრაქციის შექმნის პერსპექტივა 26 მაისს მედიაზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების გამოძიების მიზნით, სპეციალური კომისიის შექმნის სურვილმა გააჩინა.

ამ კომისიის შექმნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაზე განცხადება სწორედ ექვსმა დეპუტატმა დაანონსა – ჯონდი ბაღათურიამ, რომან მარსაგიშვილმა, პეტრე მამრაძემ, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, თამაზ დიასამიძემ და კარლო კოპალიანმა.

აღნიშნული კომისიის შექმნას, რომელმაც 26 მაისს მომხდარი ინციდენტებიც უნდა გამოიძიოს, ხელს აწერს პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი და სავარაუდოდ, ხელს მოაწერენ ბოიკოტის რეჟიმში მყოფი „ლეიბორისტი“ დეპუტატებიც.

შესაბამისად, ფრაქციის შექმნისთვის 6 დეპუტატია საჭირო, ამ კომისიის შექმნის სურვილმა კი ექვსი და მეტი დეპუტატიც გააერთიანა. თუმცა, საეჭვოა რომან მარსაგიშვილის პოზიცია, რადგან ის პრესკონფერენციის და კომისიის შექმნის ინიციატორებშიც იყო მოხსენიებული, თუმცა დღეს მისი სახელი და გვარი პარლამენტის ვებ-გვერდზე, ანონსებიდანაც გაქრა და თავადაც, ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბრისას, პრესკონფერენციაში მონაწილეობის და კომისიის შექმნაში მონაწილეობის სურვილიც კი უარყო.

საინტერესოა ის დეტალიც, რომ საპარლამენტო კულუარებში მარსაგიშვილის ამ საქციელს მაჭავარიანის გავლენით ხსნიან.

ცოტა ხნის წინ, ბაღათურია ფრაქციის შექმნისთვის ფარულ კონსულტაციებს თამაზ დიასამიძესთან, პეტრე მამრაძესთან, დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, კარლო კოპალიანთან და რომან მარსაგიშვილთან მართავდა. ხელისუფლებამ კი, ეს რომ გაიგო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მარსაგიშვილი საკმაოდ დატუქსეს და იმ ბიზნესების წართმევით დაემუქრნენ, რაც დღეს გააჩნია.

როგორც ჩანს, მან ამის შემდეგ ბაღათურიასთან სიახლოვეზე უარი განაცხადა და დაანონსებულ ბრიფინგზეც კი აღარ გამოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ რომან მარსაგიშვილი თავისი მერყევი პოზიციით ადრეც გამოირჩეოდა. დაახლოებით ორი წლის წინ, მარსაგიშვილმა, გიორგი ცაგარეიშვილთან ერთად, პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც განაცხადა, რომ „შეწყალების კომისიას“ ტოვებდა. თუმცა, ბრიფინგის დამთავრების შემდეგ, გაირკვა, რომ მარსაგიშვილი დაიბარეს და კომისიის წევრობაზე უარის თქმა გადააფიქრებინეს. ამის შემდეგ, მარსაგიშვილი რამდენიმე თვის განმავლობაში ისევ ამ კომისიის წევრი იყო.

რაც შეეხება გია ცაგარეიშვილს, იგი საერთოდ გამორიცხავს, რომ რომელიმე ფრაქციაში გაწევრდეს.

დანარჩენები კი, როგორც ჩანს, ფრაქციის შესაქმნელად მზად არიან, თუკი, რა თქმა უნდა, 6 დეპუტატის შეგროვება მოხერხდება.

როგორც დეპუტატი პეტრე მამრაძე ამბობს, თუ ფრაქციის შექმნის იდეა გაჩნდება, მისი მხრიდან პრობლემა არ იქნება. მეტიც, მამრაძეს არც ფრაქციის თანამდებობები აინტერესებს და არც მისი თავმჯდომარის ვინაობა. მისთვის მთავარი, როგორც თავად ამბობს, „რეალური ოპოზიციური ფრაქციის შექმნაა“.

„თუ იქნება 5 კაცი, მეექვსე აუცილებლად მე ვიქნები“, – აცხადებს მამრაძე.

ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი აცხადებს, რომ ახალი ფრაქციის შექმნის თეორიული შანსი, ნამდვილად არსებობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს რომ ამ ეტაპზე რაიმე გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

მისი თქმით, კომისიის შექმნის საკითხი მნიშვნელოვანი წყალგამყოფი იქნება არა მხოლოდ უმრავლესობასთან, არამედ ოპოზიციის დანარჩენ ნაწილთანაც.

იმ შემთხვევაში, თუ რომან მარსაგიშვილის „გადმობირებას“ დეპუტატთა ეს ჯგუფი კვლავ შეძლებს და შესაბამისად, ფრაქცია „ძლიერ საქართველოს“ ის დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან ერთად დატოვებს, ეს უკვე პარლამენტში არა თუ ახალი ფრაქციის შექმნის, არამედ ძველი, „ძლიერი საქართველოს“ და მეტიც, საპარლამენტო უმცირესობის დაშლის პერსპექტივასაც აჩენს. რა თქმა უნდა, თუკი ხელისუფლებამ თორთლაძეს ვინმე არ მოუძებნა, ფრაქცია რომ არ დაეშალოს, როგორც ეს 2009 წელს მოხდა, როდესაც გია ცაგარეიშვილმა მისი ფრაქცია დატოვა.

ჯონდი ბაღათურია კი ჯერჯერობით, მხოლოდ იმას აცხადებს, რომ „ვირტუალურ და თეორიულ შესაძლებლობებზე ლაპარაკი“ ახლა არ სურს.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნის შანსი არსებობს, თუმცა, ეს ტექნიკურად რამდენად განხორციელდება, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**თეონა ხარაბაძე**

Presage.tv

## კიდევ ერთხელ გავიხსენოთ

*ამ დღეებში ეროსი კიწმარიშვილი ეწვია ტელეარხ „მაესტროს“ და უცნაურად ისაუბრა... უცნაურობა მდგომარეობდა საზოგადოებისთვის მისი პერსონის ახალი კუთხით წარმოსახვაში. ჩვენ კარგად გვახსოვს, ეროვნული იდეის წყურვილით აღსავსე ეროსი, თბილისის აეროპორტში, მის აღსარებით ინტერვიუში, ბავშვურ რეპრიზებამდე როგორ დავიდა. ყურებს არ ვუჯერებდი: ილია ჭავჭავაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გერონტი ქიქოძის გახსენებასთან ერთად კიწმარიშვილისეული ეროვნული იდეა საოცარ ცვლილებებს განიცდიდა — გვევლინებოდა ვითარცა ყოველდღიური მოხმარების ნივთი, რომელიც მოძველდებოდა, გაცვდებოდა — კიწმარიშვილი კი მას იოლად გადააგდებდა და ახალს შეიძენდა. მაშინ მეგონა რომ მასში ქართული ხასიათის ერთმა მანკიერმა თვისებამ იჩინა თავი: ცდუნებამ აიყოლია და სულსწრაფად დაეწაფა ჩვეულ ზედაპირულ ხატოვანებას და მალალფარდოვანებას — ვცდებოდი... ამას მივხვდი, როდესაც დამპყრობელი რუსეთი მის ცხოვრებაში გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. „მაესტროზე“ კი, მან უკვე მესამედ, „ფერიც და ზნეც“ იცვალა... თუმცა არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ პოლიტიკანი წაგებული მოედნიდან ახალ მოედანზე გადანაცვლებას ცდილობდეს —— ეს ბუნებრივია.*

*რატომ პოლიტიკანი და არა პოლიტიკოსი? სანამ კონკრეტიკაზე გადავიდოდე, თავს უფლებას მივცემ, მკითხველს ცნობილი განმარტება შევახსენო: პოლიტიკანი (ფრ. Politiquant) — ადამიანი, რომელიც (პოლიტიკოსისგან განსხვავებით) პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებს, შეგნებულად (ხშირად პირადი, ანგარების მიზნით) სხვა, მეორეხარისხოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან, არაპრინციპულ საკითხებზე ცვლის. არის სხვაც, ამ შემთხვევისთვის შესაფერისი ეპითეტი, მაგალითად: ინტრიგანი (ფრ. Intrigant), დემაგოგი (ბერძნ. Demagogos) და კოლაბორაციონისტი (ფრ. Collaboration).*

*დროებით მხოლოდ პოლიტიკანობა ვაკმაროთ კიწმარიშვილს. ამრიგად, ჭეშმარიტი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, პოლიტიკანი ეროსი პრინციპულ საკითხებს, შეგნებულად სხვა, არაპრინციპულ საკითხებზე ცვლის — ინტრიგანობს. სწორედ პოლიტიკანის ამგვარი კულბიტების დემონსტრირება მიანიშნებს, რომ ის რაღაცის მიჩქმალვას ცდილობს. რვა აგვისტოს ომს შინაგან პოლიტიკურ შეტაკებებში, სრულიად შეგნებულად, „იარაღად“ იყენებს, უგულებელყოფს რიგ მოვლენებს, რომლებიც ამ ომს თან ახლავს — არ ადარდებს რომ მათი მიჩქმალვა ქვეყნის ღალატის ტოლფასია. ცხადია: დანაშაულია თუ რეჟიმის დამარცხების საფასურად შენი ქვეყნის ინტერესებს სწირავ. რატომ ისევ და ისევ (უკვე მესამედ), უბრუნდება კიწმარიშვილი „8 აგვისტო და პრეზიდენტი“-ს თემას? შესაძლოა, მას სხვაგვარად არ შეუძლია — ვალდებულია ერთდროულად რუსეთიც ოდნავ მაინც „გაამართლოს“ და, ამავე დროს, ამ თემას „მჭიდრო-ნეგატიურად მიაბას სააკაშვილი“? ამასთანავე ამ ილეთით ის თვითონ თითქოს შორდება რუსეთში თავის მივლინებებს და „მშობლიურ ნიადაგს, სამშობლო მიწას უბრუნდება“. კიწმარიშვილის პოლიტიკური აკრობატიკა დროულ საბაბს იძლევა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 2008 წლის რვა აგვისტომდე მომხდარი ზოგიერთი უტყუარი ფაქტი, რომლებზედაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ლაპარაკობენ.*



# კიწმარიშვილის პოლიტიკური ვირაჟები მეხსიერების გამოცოცხლება-განახლების საბაბია

**2008 წ. მარტი.** „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ თავდაცვის მინისტრად დანიშნულია ვასილ ლუნევი (პერმის ოლქის სამხედრო კომისარი).

**2008 წ. 16 აპრილი.** რუსეთმა გამოაცხადა, რომ იურიდიულად სოლიდურად მიიჩნევს იმ საბუთებს, რომლებსაც საკუთარ მოსახლეობას ურიგებდნენ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მთავრობები. ეს ამ რეჟიმების ლეგიტიმურად ცნობას ნიშნავდა. ამ გადაწყვეტილებამ შეერთებული შტატების, ევროკავშირის და სხვების პროტესტი გამოიწვია.

**2008 წ. 12 მაისი.** გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს ერთიანობა აღიარებული იყო საერთაშორისი-სამართლებრივი საზღვრების ჩარჩოებში, აგრეთვე დევნილების და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ.

**2008 წ. მაისი-ივნისი.** რუსეთს აფხაზეთში სადესანტო სამხედრო ნაწილები და მძიმე არტილერია შეჰყავს, რაც აბათილებს შეთანხმებას მისი (რუსეთისძ „სამშვიდობო ძალების“ შესახებ.

**2008 წ. 26 მაისი.** რუსეთი 400 სარკინიგზო სამხედროს აგზავნის აფხაზეთში. ამ სამხედროებს არ აქვთ სამშვიდობოების სტატუსი. ისინი რკინიგზას სამხედრო ტექნიკის გადასაზიდად ამზადებენ.

**2008 წ. 29 მაისი.** „პრეზიდენტმა“ კოკოითმა გამოაცხადა, რომ „საქართველო სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას ეწევა“. მიზეზი: ცხინვალში, ომონის შენობასთან მოხდა აფეთქება, დაიღუპა ექვსი ომონელი.

**2008 წ. 9 ივლისი.** რუსეთის ოთხმა გამანადგურებელმა თვითმფრინავმა გადაუფრინა საქართველოს. ასეთი საზღვრის დრღვევები ხშირია, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთმა აღიარა, რომ ეს მისი თვითმფრინავები იყო.

**2008 წ. 15 ივლისი-2 აგვისტო.** საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან რუსეთი ატარებს სამხედრო წრთვნებს „Кавказ 2008“. წვრთნებში მონაწილეობს 8–10 ათასი სამხედრო.

**2008 წ. ივლისი.** რუსეთმა დაამთავრა აფხაზეთში რკინიგზის მშენებლობა, რომლითაც მოგვიანებით, აგვისტოში, გადაისვრის საჯარისო ნაწილებს.

**2008 წ. ივლისი.** აშენდა რამდენიმე სამხედრო ბაზა (ჯავაში, ოჩამჩირეში, გალშიძ, სადაც მოიმარაგა საწვავი. ოჩამჩირეში შეიყვანეს რუსეთის სადესანტო ნაწილები, ტყვარჩელში განლაგდა მძიმე არტილერია.

**2008 წ, 18 ივლისი.** აფხაზეთის ხელმძღვანელობამ უარყო გერმანიის შემოთავაზება შუამდგომლობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებებში.

**2008 წ. 22-24 ივლისი.** სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა უარს ამბობს ბრიუსელში ჩასვლაზე საქართველოსთან მოსალაპარაკებლად, რომლის ორგანიზატორი ევროკავშირი იყო.

**2008 წ. 1-2 აგვისტო.** „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ საინფორმაციო კომიტეტის წარმომადგენელმა, მაია ხარებოვამ, განაცხადა, რომ ქართველმა სნაიპერებმა ცხინვალს და მიმდებარე სოფლებს დაუშინეს ტყვიები, მოკლეს სამი ადამიანი, მათ შორის ერთი მილიციონერი. იმავე დღეს ააფეთქეს მანქანა ქართველი პოლიციელებით.

**2008 წ. ივლისის შუა რიცხვებიდან 2 აგვისტოს ჩათვლით.** რუსეთის ჯარების გადაადგილებაზე იუწყებოდნენ რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები, მედია საშუალებები. რუსეთის თავდაცვის სამინისტროც კი რეგულარულად აქვეყნებდა ინფორმაციას სამხედრო წვრთნების („Кавказ 2008“ძ შესახებ – (10 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მინიმუმ 700 ერთეული ჯავშანტექნიკის მხარდაჭერითძ. წვრთნების დასრულებისას საჯარისო ნაწილები არსად არ წასულან – დარჩნენ ადგილებზე სრულ საბრძოლო მზადყოფნაძი. ამ წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცთა და ოფიცერთა მოწმობით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საიტის, გაზეთ „Красная Звезда“-ს მონაცემებით, წვრთნებში მონაწილე სამხედროების ნაწილმა არა მარტო გაიარა წვრთნები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, არამედ გავიდა უღელტეხილებზე, გადაიარა ეს უღელტეხილები და ფაქტობრივად განაგრძო წრთვნები უცხო ქვეყნის (საქართველოსძ ტერიტორიაზე. ამრიგად ყოველივე ეს ხდებოდა 7 აგვისტომდე. მინიმუმ ოთხი რუსული ჯარის ქვედანაყოფი იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 7 აგვისტომდე, 135-ე მოტომსროლელთა პოლკის და 22-ე სპეცნაზის ბრიგადის ჩათვლით. იქვე, სულ ახლოს საქართველოს საზღვართან, იმყოფებოდნენ, „Кавказ 2008“-ში მონაწილე სატანკო ქვედანაყოფები, რომლებიც შემდგომ აღმოჩნდნენ სამხრეთ ოსეთში.

ომამდე, 7 აგვისტოს, 135-ე და 693-ე პოლკების მოწინავე ნაწილები უკვე იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთში – ჯავის უზარმაზარი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. ამას მოწმობენ 135-ე პოლკის კაპიტან დენის სიდრისტის და მისი თანაგუნდელების ლევან ხუბაევის და ზალიმ გეგრაევის მრავალრიცხოვანი ინტერვიუები: ისინი 7-ში ჯავაში იყვნენ, ხოლო 8-ში დილით (ომში რუსეთის ოფიციალურად ჩართვამდეძ ჩაებნენ ბრძოლაში ცხინვალის სამხრეთ გარეუბნების დაკავების მიზნით.

**2008 წ. 2-3 აგვისტო.** ჩრდილო კავკასიაში, სამხრეთ ოსეთის დასახმარებლად, გამოცხადებულია კაზაკების და მოხალისეთა მობილიზაცია.

**2008 წ. 2-3 აგვისტო.** ქართული მხარე რამდენჯერმე მიმართავს რუსეთს წინადადებით როკის გვირაბში, მასში მოძრავი ადამიანებსა და „ამოუცნობ ძალებზე“ ქართულ-რუსული ერთობლივი კონტროლის თაობაზე.

**2008 წ. 3 აგვისტო.** ყოველ ღამე, ჩრდილო კავკასიიდან (300-დან 1000-ს კაცამდეძ, იწყება „მოხალისეთა“ შესვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

**2008 წ. 4 აგვისტო.** რუსეთის რამდენიმე საგანგებო სამხედრო ნაწილი ბანაკდება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

**2008 წ. 6 აგვისტო.** რუსეთის სასაზღვრო ფედერალური სამსახურის ნაწილებმა დაიკავეს არა მარტო როკის გვირაბის ჩრდილო პორტალი, არამედ როკის გვირაბის სამხრეთი პორტალიც, რაც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრის დარღვევას ნიშნავდა.



**2008 წ. 6-7 აგვისტო.** სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩამოდის რუს ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი, რომელიც ომის გაშუქებისთვის მზადაა.

**2008 წ. 7 აგვისტო.** დრო: 18.30. საქართველოს რეინტეგრირების მინისტრის თ. იაკობაშვილის და ცხინვალის სამშვიდობო ბატალიონის მეთაურის კულახმეტოვის მოლაპარაკებების შედეგად და თვით კულახმეტოვის რეკომენდაციით, ქართულმა მხარემ მიიღო ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

**2008 წ. 7 აგვისტო.** რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში იური პოპოვი საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უარს ამბობს მისი მანქანის დაშვებული საბურავისა და სათადარიგო საბურავის უვარგისობის მიზეზით.

**2008 წ. 7 აგვისტო.** დრო: 19.10. სააკაშვილის ტელევიზიით უპრეცედენტო გამოსვლა, რომელშიც მან ოსურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა. მან ცალმხრივად, სამი საათით, ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა, რომელიც სრულდებოდა 18.30-დან მინიმუმ 23.47-მდე.

**2008 წ. 7 აგვისტო.** დრო: 22.10. ოსების მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლი განახლდა.

**2008 წ. 7 აგვისტო.** დრო: 23.30. ოსები მასიურად უშენენ ცეცხლს ცხინვალის გარშემო ქართულ სოფლებს. ამავე დროს ირკვევა, რომ რუსეთის ჯარი (დაახლოებით 150 სატვირთო მანქანა და „ბმპ“ძ, შედის როკის გვირაბში.

**2008 წ. 7 აგვისტო.** დრო: 23.50. ქართული ჯარი მძიმე არტილერიით პირველად ხსნის ცეცხლს.

**2008 წ. 8 აგვისტო.** დრო: 00.45. ქართველი არტილერისტები უკვე ხედავენ რუსულ ჯარს.

**2008 წ. 8 აგვისტო.** დრო: 09.40. აფხაზეთიდან საქართველოს წინააღმდეგ შეტევა დაიწყო.

კიდევ ბევრი ფაქტის და უფრო მეტი შეკითხვის მოყვანაა შესაძლებელი, რომლებზეც პასუხები უფრო გამოაჩენენ რუსეთის უპასუხისმგებლობას, ვერაგობას და ცინიზმს. „კიწმარიშვილები“ კი მუდამ იყვნენ და იქნებიან – მათზე ყურადღების შეჩერება მხოლოდ მათ მოსათოკავად თუ ღირს.

დიდი პოლიტიკა ვერ გაიზომება პატარა ქვეყნის ინტერესებით – ყოველ შემთხვევაში ყოველთვის ვერ გაიზომება და სწორედ ამიტომ ის ვერ იქნება მუდამ პატარა ქვეყნის თვალთახედვით სამართლიანი. დიდი პოლიტიკის გამოვლინება, ტალიავინის კომისიის მსგავს ეპიზოდებში, არ უნდა გვაშინებდეს და არც გვაჩერებდეს. დიდი პოლიტიკისთვის ის, რაც ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, მისთვის ხშირად ისეთი მცირე დეტალია, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ვინმეს შესაძლოა გამორჩეს ან სულაც მოფიქრებულად „არ დადოს სასწორზე“. დიდმა პოლიტიკამ, სტიქიის მსგავსად, შეიძლება დაგვაზარალოს... მთავარია ჩვენ ეს ვიცოდეთ, გვახსოვდეს, ვიყოთ მზად წალეკილის აღსადგენად და სამომავლო კატაკლიზმების უვნებელსაყოფად. ამ პოზიციებიდან, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ფეხს ნუ მოვიცვლით – პოლიტიკურ ხედვას ნუ შევცვლით, ვინაიდან ეს გარდაუვლად ჩვენს სასარგებლოდ იჩენს თავს.

**მალხაზ ჟვანია**

განსჯა

**ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართაო, ბრძანებს ბატონი ოტია იოსელიანი ერთ-ერთ თავის ბოლო ინტერვიუში.**

# „ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა!“

ქვეყნისათვის მძიმე დღეებში, ბატონ ოტია იოსელიანის აზრს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. გრძნობენ რა ასეთ დამოკიდებულებას ბატონ ოტია იოსელიანისადმი, ჟურნალისტები ახერხებენ მასთან დაკავშირებას და თუნდაც რამდენიმესიტყვიანი ინტერვიუს მიღებას.

ასე მოხდა ამჯერადაც.

კულტურული ერები აღარ არსებობენ, ასე არ დაგვემართოს ჩვენცო, ბრძანებს ბატონი ოტია. რომ არ დაგვემართოს „უნდა ვიფიქროთ... ერთი და ორი შტერი ყველგან შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ სხვა უბედურება გვჭირს – ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა! რომ იყოს გზა ხსნია, ვხედავდეთ მაგ გზას, რა გვიჭირდა“.

როგორი მოსასმენია?.. ქვეყანამ გადასახდელი გადაუხადა ეროვნულ და ნაციონალურ მოძრაობებს, მტკივნეული გართულებებიც მიიღო და მაინც „ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა“.

მავანს აქვს კონსტიტუციური უფლება, არ დაეთანხმოს ბატონ ოტია იოსელიანის შეფასებას, მავანს შეიძლება ღიმილიც კი მოჰგვაროს ასეთმა შეფასებამ; „სამოქალაქო საზოგადოების“ წევრები ალბათ ჩათვლიან, რომ ეს მათ არ ეხებათ და მართლებიც იქნებიან. ისინი ჩადიან ევრგაერთიანებებში, მოაქვთ პროექტები თავის დაფინანსებით გენდერული თანასწორობის, ან ოჯახში ძალადობის თემებზე და... ეტყობათ მათ რომ გამოთაყვანებულები არიან? მხოლოდ ამ ბოლო პერიოდში შეექმნათ მათ პრობლემები, როდესაც თვით ევროკავშირმა განაცხადა, რომ მისი ბიუჯეტი მთლიანად კორუფციაში ილექება. გამოდის, რომ „სამოქალაქო საზოგადოების“ მიერ მოპოვებული დაფინანსება კორუფციული გარიგების შედეგია.

პრესაში არაერთხელ გამოქვეყნებულა წერილები იმის თაობაზე, რომ კორუფცია ევროგაერთიანებებში იყოს, არის და იქნება და როდესაც მათგან რაღაც ფულადი სახსრები მოაქვთ, იყიდება ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი. როგორც ვხედავთ, აქ ვიღაც გამოთაყვანებულია, ვიღაც სარგებლობს სხვათა გამოთაყვანებით.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ომის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ აშშ-დან მოიყვანა ახალგაზრდა კაცი და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა. ახალგაზრდა ხალხს არ აურჩევია და მისი დანიშვნა კანონის უხეში დარღვევა იყო. კანონის დარღვევით იწყება ყველაფერი. დღეს ბატონი შევარდნაძე ხმამაღლა აცხადებს, დიქტატურა მოდისო და არაფერს ამბობს, რა ჰქვია იმ ახალგაზრდის უკანონოდ დანიშვნისა და შემდგომ დაწინაურების საქმეს.

თავის დროზე რუსეთისა და საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტებმა ქალაქ სოჭში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენას და „სინქრონულად“ აფხაზეთიდან ლტოლვილთა დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ სახლებში. ხელშეკრულება, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა შეგვესრულებინა (უკეთესს ვერც ინატრებდა ქართველი კაცი) მაშინდელმა და დღევანდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა მიზანმიმართულად ჩააგდეს.




დღეს ბევრი რუსი ჟურნალისტი, რომლებიც ბევრ საკითხში მხარს გვიჭერენ, გეუბნებიან აფხაზეთი დაივიწყეთო, ხოლო ჩვენი ერთ-ერთი ექსპერტი მოითხოვს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას. საზოგადოება და უპირველესად ინტელიგენცია, როცა არ მოითხოვს ამ ფაქტის გამოძიებას და ასე უმტკივნეულოდ ეგუება აფხაზეთის დაკარგვას, ნამდვილად იმსახურებს ბატონ ოტია იოსელიანის შეფასებას.

ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა ჰესების მშენებლობაშიც.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, ქუთაისში მოეწყო ნამახვანჰესის პროექტის განხილვა. ითქვა, რომ ჰესს ააშენებენ თურქი ინვესტორები (საინტერესოა, რამდენი გვმართებს თურქეთის?).

ჰიდრომშენებელთა ერთ ჯგუფს და არა მარტო მათ, იმედი ჰქონდათ, რომ ნამახვანჰესს და მსგავს ობიექტებს ჩვენი მშენებლობები აშენებდნენ, საზოგადოებრივი ფონდის შექმნით და პირადად ბატონი ნიკა გილაურის ზედამხედველობით. მკითხველს უნდა გავახსენოთ, რომ ქვეყნის პრემიერმა, ბატონმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ საჭიროა დაარსდეს საზოგადოებრივი ფონდი, რომელიც სახელმწიფოსთან ერთად დააფინანსებს ისეთ ობიექტებს, რომელთა აშენებაც დამოუკიდებლად კერძო სექტორს არ შეუძლია. გვიხდება რა ჩვენს მოქალაქეებთან მჭიდრო ურთიერთობა ამ საკითხში, ვაცხადებთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს სურთ თავიანთი ფულადი სახსრებით მიიღონ მონაწილეობა ჰესების მშენებლობაში. ეს გზა არის ერთადერთი გზა ქვეყანაში სიღატაკის დასამარცხებლად და მიგრაციული პროცესების შესამცირებლად. გარდა აღნიშნულისა, ჩვენ, პროფესიონალმა ჰიდრომშენებლებმა ქვეყანას უნდა მოვახსენოთ, რომ ჰესი არის რთული ნაგებობა და მისი მშენებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება აეროპორტის სახურავის მოწყობის, გზების დაგებისა და ნებისმიერი სხვა მშენებლობისგან. მსოფლიოს ახსოვს ის უბედურებები, რაც მოჰყვა ჰესების კაშხლების რღვევას (აქ ამერიკელები პირველობდნენ), ან უბრალოდ წყალსაცავიდან წყლის ფილტრაციას. საკმარისია გავიხსენოთ უკანასკნელი კატასტროფა, რომელიც თავს დაატყდა საიანო-შუშენსკოეს ჰესის პროფესიონალების კოლექტივს. დაიღუპა 70 ადამიანი და 6,4 ათასი მეგავატი (5-ჯერ მეტი ენგურჰესზე) სიმძლავრის ჰესის ძალოვნური კვანძი თავიდან გახდა ასაშენებელი. როგორც სახელმწიფო კომისიამ გამოაცხადა, მიზეზი ყოფილა ჰესის დაპროექტებისა და ექსპლოატაციის დროს დაშვებული შეცდომა.

მწერლის მოწოდება, უნდა ვიფიქროთ, ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებითო, ეხებათ ქვეყნის პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლებს: ბაქრაძეს, ცისკარიშვილს, მაჭავარიანს, კუბლაშვილს, გაბაშვილს. იფიქრონ და განუმარტონ საზოგადოებას რა მიზნით სურთ გაყიდონ ჰიდრორესურსები მდინარე რიონზე.

„როგორმე ხალხს უნდა დავუბრუნოთ ცნობიერება, დღეს როგორ შეიძლება არჩევნები მოხდეს? არჩევნებზეც რომ მიდგეს საქმე, მაინც არაფერი გამოვა“...

ბატონი ოტია არჩევნების საკითხს ეხება.

რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთი არჩევნებისას, საარჩევნო კომისიამ (ცესკომ) დამატებით დაარიგა საარჩევნო ბიულეტენები შეკითხვით – გსურთ თუ არა ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრება? ბოლნისის რაიონში ამომრჩეველთა 80 პროცენტმა ხმა მისცა ნატოში გაწევრებას. ეს მოხდა იმ რაიონში, სადაც ამომრჩეველთა 74 პროცენტი აზერბაიჯანელია, არიან სომხებიც, ხოლო ქართველთა უმრავლესობას თავიანთი შვილები თუ მეუღლეები გაგზავნილი ჰყავთ რუსეთში ლუკმაპურის საშოვნელად. ამ ადამიანებს ნატოს გაგონებაც არ სურთ. გაყალბებასაც ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც საზღვარი? ასეთი წესით ჩატარებულ გამოკითხვას შემდგომ ხელისუფლებამ რეფერენდუმი უწოდა.

როგორც ცნობილია, გაყალბების სათავე გაბერილი საარჩევნო სიებია. დღეს ბატონი კუბლაშვილი ბრძანებს, რომ ისინი ვერ წაართმევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას საზღვარგარეთიდან დაბრუნებულებს, რის გამოც საარჩევნო სიების ფორმირება უნდა მოხდეს მოქალაქეთა რეგისტრაციის მიხედვით. სამაგიეროდ, ისინი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უსინდისოდ ართმევენ საცხოვრებელ ადგილგამოცვლილ მოქალაქეებს, რომლებიც რაოდენობრივად საზღვარგარეთ გასულ მოქალაქეებზე გაცილებით მეტნი არიან. გამოთაყვანებულზე მეტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ მიხვდეს თუ როგორი გააფთრებით იცავენ ნაციონალები თავიდანვე გაყალბებული სიებით არჩევნების ჩატარებას.

„ჩვენ საქართველოს ვეხმარებით, რათა არჩევნები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბიუროს წესების შესაბამისად ჩაატაროს“ – ბრძანებს საფრანგეთის ელჩი საქართველოში ბატონი ერკი ფურნიე.

ჩვენ ვთხოვთ ბატონ ერიკ ფურნიეს „მოეხმაროს“ საქართველოს ხელისუფლებას და გამოქვეყნდეს პრესაში საერთაშორისო ბიუროს წესები არჩევნების ჩატარების თაობაზე. ეს იქნება ბატონ ფურნიეს რეალური დახმარება. სხვა მხრივ იგი ვერ დაეხმარება საქართველოს.

„როცა ერი განათლებულია, საშველს იპოვნის“ – ბრძანებს ბატონი ოტია.

როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, ჩვენი განათლებით (განათლებაში მიღწეული წარმატებებით) მსოფლიო ყოფილა აღფრთოვანებული... თუმცა ეს განხილვის სხვა თემაა და სხვა ფორმატს მოითხოვს.

ნუგზარ კობერიძე

საპროცენტო განაკვეთი

# რათა მდიდრებმა ბევრი არ იტირონ!

## ვის და რატომ „ულევის“ ქართული კომერციული ბანკი?

**ნებისმიერი სახეობის ეკონომიკური წამოწყება, უწინარეს ყოვლისა, სასტარტო კაპიტალის მოძიება-მოზიდვით იწყება და, როგორც ეს უმთავრესად ხდება, პროცესი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობასა და, რაც მთავარია, ფასზეა დამოკიდებული. ამდენად, თუ გარკვეული ეკონომიკური პროექტის განსახორციელებლად მეწარმეს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები არა აქვს, საქმის დასაწყებად საჭირო ფულისთვის კომერციულ ბანკს უნდა მიმართოს. მეტიც: ხშირად ასე იქცევა ის ხალხიც, ვისაც საკუთარი ფინანსური სახსრებიც საკმარისად აქვს, მაგრამ მაინც ურჩევნია, რომ საქმეში სხვისი ფული დატრიალდეს, რაშიც, ცხადია, რისკის გაწევისთვის გასამრჯელოს იხდის, ამას ბანკირების ენაზე საპროცენტო განაკვეთი ეწოდება.**

ჩვენში სხვადასხვა კომერციულ ბანკში საპროცენტო განაკვეთი სხვადასხვაა. ყველაფერი, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტული თანხის ოდენობასა და კრედიტის ვადაზეა დამოკიდებული, ასევე მნიშვნელობა აქვს სესხის მიზნობრივობასა და საგირავნო უზრუნველყოფას. ამასთან, როგორც, ალბათ, მკითხველისთვის ცნობილია, ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა ბოლო წლებში, მსესხებელთა მოზიდვის მიზნით, მომსახურების ახალი – მცირე დროით მცირე თანხების ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე გაცემის ფორმა შემოიღო, რომლითაც ბევრნი სარგებლობენ და კმაყოფილნიც არიან. მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ „საყოფაცხოვრებო დონეზეა“ საინტერესო და არც ბანკებისთვისაა შემოსავლის მიღების რაიმე განსაკუთრებული წყარო და არც მომხმარებლის ეკონომიკურ თუ სამეწარმეო გააქტიურებას უწყობს ხელს. ბანკებისთვისაც და ეკონომიკური სუბიექტებისთვისაც როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირთათვის, მნიშვნელოვანია მეტ-ნაკლებად სოლიდური თანხების ამა თუ იმ ვადით სესხება და სწორედ ამ სესხებზე განაკვეთები სხვადასხვა კომპანიაში რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა თუ ამ მონაცემებს გავასაშუალოებთ, გამოვა, რომ ჩვენში საბანკო სესხის საშუალო განაკვეთი 19 პროცენტია.

როგორც ვხედავთ, ყირგიზელი ბანკირები ქართველ ბანკირებზე უფრო „მაგრები“ არიან და საბანკო კრედიტებსაც უფრო ძვირად ყიდიან, რადგან როგორც ეკონომიკის „ანბანიდან“ ვიცით, ფულიც ზუსტად ისეთივე საქონელია, როგორც, ვთქვათ, სალეჭი რეზინი ან ავტომანქანა. თუმცა საქართველოში მეწარმეთათვის კრედიტების ყირგიზული სიძვირე, ანდა, პირიქით, რუსეთელებისა და უკრაინელების შედარებითი სიიაფე, ბევრი ვერაფერი შეღავათია. ჯერ ერთი, განაკვეთის სიდიდის, და მეორე (რაც, ალბათ, პირველს „უჯოკრავს“) – მისი ნაკლებად მისაწვდომობის გამო. ამ გარემოებას კი ჩვენში ლამის დაკანონებული რამდენადმე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი საბანკო სესხების გაცემის ერთგვარად უნიკალური სისტემა განაპირობებს.

ინფორმაცია თემაში

მსოფლიოში ყველაზე დაბალი საშუალო საკრედიტო პროცენტული განაკვეთია შვეიცარიაში, სადაც იგი დაახლოებით 3,15 პროცენტია. ამერიკის შეერთებულ შტატებში კრედიტებზე განაკვეთი 7 პროცენტის ფარგლებში პლუს-მინუს ნიშნით მერყეობს, ხოლო იპოთეკური სესხების საშუალო განაკვეთია 6 პროცენტი. დაახლოებით ამავე რიგისაა საკრედიტო განაკვეთის სიდიდე დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი 5,5 პროცენტის ტოლია.

ამ მხრივ ჩვენთვის ასევე საინტერესოა, თუ რა ჯდება ბანკიდან სესხის გამოტანა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რუსეთში მსესხებელმა კრედიტში ყოველწლიურად თანხის 10 პროცენტი უნდა გადაიხადოს, უკრაინაში – 15 პროცენტი, ყირგიზეთში კი – 25 პროცენტი.

იხ. 9 გვ.

◉ სვანეთი დღეს

# სიკეთის გზა

***— „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინ რა ვინ გივაზიროს“. — სულმნათის ამ შეგონების ერთგულია არასამთავრობო ორგანიზაცია სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც მთების სიყვარულს თავშეწირული კაცის — გურამ თიკანაძის სახელს ატარებს.***

***როგორც ამ ორგანიზაციის პროექტების დირექტორი გიგლა ფარჯიანი განმარტავს, ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობს გამგეობის წევრი და ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, ყველა სვანისათვის საფიცარი გურამ თიკანაძის ქალიშვილი, ქალბატონი ია, რომელიც ამასთან გერმანიის პირველი პრეზიდენტის — ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს ორგანიზაციას უდგას სათავეში.***

***ცენტრმა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და გააქტიურების მიზნით ლატალში მიიწვია ექსპერტები და ტრენერები. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით კეთილმოეწყო ცენტრი და ზემო სვანეთის დიდ ისტორიულ თემს შეემატა ფეხბურთისა და ფრენბურთის სტადიონები. ამასთან და, რაც მთავარია, საგრძნობლად გააქტიურდა მოსახლეობა. ამის შედეგია თუნდაც ის, რომ ამჟამად ლატალში უკვე 4 არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს.***

ლატალი, ისევე, როგორც მთელი სვანეთი, დღეს უდიდესი გარდატეხის მოლოდინშია. მესტია-ზუგდიდის გზის მშენებლობა, დაბა მესტიის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აეროპორტის მშენებლობა და სხვა ის ღონისძიებები, რომელთა მიზანია მდგომარეობის არსებითი გარდაქმნა, ბევრ სასიკეთო ცვლილებას ითვალისწინებს თემისთვის, სადაც 1400-მდე მოსახლეა. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად სათქმელია. პროექტის განხორციელება დაიწყო მოულოდნელად და სწრაფი დინამიკით და როგორც დაპროექტების, ისე მისი განხორციელების პროცესში დაზღვეული არ იყო იმ ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებისაგან, რასაც შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ზიანი მიეყენებინა და მათი განაწყენება გამოეწვია.

როგორც გაირკვა, პროექტი არ ითვალისწინებდა ლატალისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და თემის კანალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. არადა, გზაზე 22-სანტიმეტრიანი რკინაბეტონის საფარის გამკვრივების შემდეგ ამ ძველური მაგისტრალების გაყვანა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდებოდა. ბუნებრივია, რომ მწვავე პრობლემამ მოსახლეობა შეაწუხა, მაგრამ მისი მოგვარების გზების მოძებნა უჭირდა. ამაში ხელს უშლიდა ის, რომ არასაკმარისად ფლობდა კანონიერი მოთხოვნების მოგვარებისათვის აუცილებელ ცოდნას, თანაც ვერ აგნებდა კონკრეტულ ადრესატს.



სვანეთის ახალგაზრდულმა ცენტრმა გაითვალისწინა მდგომარეობა და ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო მონიტორინგის პრობლემებზე. მოეწყო ტრენინგი იმ პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და მისი ჩართვა ადგილობრივ თვითმმართველობაში“.

გაირკვა, რომ პროექტის განხორციელების დაწყებისას სხვა ხარვეზებთან ერთად სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული იმ ლატალელთა კანონიერი უფლებები, რომლებსაც აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული გზის მშენებლობის გამო მიწის ნაკვეთები ჩამოაჭრეს, კომპენსაციას კი ვერ იღებდნენ.

— ჩვენმა ორგანიზაციამ, რომელიც საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებულია და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან პარტნიორობს, რათა განახორციელოს „ზუგდიდი-მესტიის გზის მშენებლობის სამოქალაქო მონიტორინგი და დაიცვას მის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებული ოჯახების ინტერესები“, პირველმა დაიწყო ამ გზის მშენებლობის მონიტორინგი. — აღნიშნავს გიგლა ფარჯიანი. — ამ საქმეში აქტიურად გვეხმარებიან პარტნიორები — იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია — „ასა“ და ევროპის განვითარების ფონდი, რომლებსაც ანალოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. მათი რჩევითა და დახმარებით ჩვენივე ცენტრისა და ლატალის მოსახლეობის სახელით პროექტის ფასილიტატორს გავუგზავნეთ მიმართვა, რასაც სათანადო პასუხი მალე მოჰყვა. ადრესატმა ვიდეოკონფერენციით დაგვაკავშირა პროექტის განხორციელებაში მონაწილე მხარეებთან. მათ აღიარეს, რომ დაგეგმარებისას დაშვებული იყო შეცდომები და მოსახლეობას შესაბამის ანაზღაურებას დაპირდნენ.

მართალია, ეს დაპირება დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ „ასას“-სთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით სასურველ შედეგს მივაღწევთ.

*   *   *

— ჩვენ საკმაო ხნის, ამასთან საინტერესო პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს სვანეთის ახალგაზრდულ ცენტრთან, — გვეუბნება ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის თავკაცი, ინჟინერი ზაზა ხელაძე. — მათი თხოვნით საექსპერტო საქმიანობა დავიწყეთ სოფელ ლატალის ტერიტორიაზე, კერძოდ ზუგდიდი-მესტიის მშენებარე გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც 128-130-ე კილომეტრებს შორის მდებარეობს. მოვიპოვეთ და შევისწავლეთ პროექტის გენერალური და სიტუაციური გეგმები, გზის საფარის კონსტრუქცია და პროექტის განმარტებითი ბარათი. ახალგაზრდულ ცენტრთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ვიმსჯელეთ იმ ურთიერთობაზე, რაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან უნდა ჩამოგვეყალიბებინა, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის ჩართულობასა და ერთობლივი მუშაობის სხვა საკითხებზე. მოეწყო მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა. შევისწავლეთ მშენებარე მონაკვეთი, შემდეგ კი გაიმართა ტრენინგ-სემინარი თემაზე — „საზოგადოებრივი აზრის ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღებასა და განხორციელებაში“. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება გადაიზარდა ფრიად საინტერესო დისკუსიაში. მასში აქტიურად ჩაება მოსახლეობა, რომელიც ენერგიულად და ლოგიკურად ასაბუთებდა პროექტთან დაკავშირებულ წინადადებებს. მათი გათვალისწინებით და მაღალკვალიფიციური ჰიდროლოგის მონაწილეობით შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები, მათ შორის საკანალიზაციო ძელით გზის გადაკვეთის საპროგრამო მონაცემები. მოეწყო ინდივიდუალური შეხვედრები ნაკვეთჩამოჭრილ მოსახლეებთან.

აღსანიშნავია, რომ სვანეთის ახალგაზრდული ცენტრის მიერ კარგად ორგანიზებული ყველა ეს ღონისძიება არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არამედ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობდა, რაც, ჩვენი აზრით, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების სინქრონული მუშაობის საინტერესო მაგალითია.

*   *   *

გურამ თიკანაძის სახელობის ცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, ისევე, როგორც ლატალის თემის თითოეული ოჯახისათვის, განსაკუთრებით წონადია ცნობილი ჰიდროლოგის, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ოთარ შაუთიძის რეკომენდაციები.

— დავათვალიერე მშენებარე გზა და მისი შემოგარენი. — გვიყვება ბატონი ოთარი. — განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს 269-ე პიკეტი, სახელდობრ გზის მარცხენა მხარეს ფერდობიდან წყლების მოშორების საკითხი. ეს მით უფრო ითქმის, რომ ამ წყლებიდან სათავეს იღებს ლატალის თემის ერთ-ერთი უბანი.

საყურადღებოა, რომ წიწვოვანი ხეებით დაფარულ ფერდობზე ბევრი მცენარე მოჭრილია, არადა ეს ადგილი დაახლოებით 40-გრადუსიანი დახრილობისაა, მცენარეული საფარის დარღვევის გამო კი უკვე დაწყებულია მისი დაშლა.

ამის გათვალისწინებით პროფესორმა კოორდინატორს შესთავაზა, სასწრაფოდ დაწყებულიყო დამცავი კედლის ამოყვანა, რომელიც დაახლოებით ერთი მეტრით მაინც უნდა აღემატებოდეს ლანდშაფტის ბუნებრივ მდგომარეობას, რათა შემცირდეს ფერდობის დახრის კუთხე და გაიზარდოს მდგრადობა. ამასთან, იგი მოითხოვს, რომ კედლის მიმდებარე სიცარიელე აუცილებლად შეივსოს ღორღით და საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით მოხდეს ფერდობიდან წყლის გატანა.

ამ კონკრეტულ მაგალითზე ასე გამოწვლილვით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ აღარასდროს განმეორდეს არც ის საშინელება, რაც რიკოთის უღელტეხილთან დატრიალდა და არც ის შეცდომები, რამაც ცივგომბორზე ახალგაყვანილი გზა სერიოზულად დააზიანა და საქმე ხელმეორედ საკეთებელი გახადა.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდლის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სამუშაოებისადმი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რომ სულ უფრო მზარდ ყურადღებას იჩენს, ამის დასტურია თუნდაც ის აქტი, რომელსაც ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოების უწყისისა და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესადგენად გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის დირექციას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელი უგზავნის. მასში სხვა შენიშვნებთან ერთად გათვალისწინებულია არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის წინადადებები.

*   *   *

კეთილმოწყობილი გზები იმ უგზოობისას, რომელიც სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით კი სვანეთს დღემდე აწუხებდა, ის დიდი საერთო სახალხო სიკეთეა, რომელსაც ნებსითა და უნებლიედ ვინმემ მადლი არ უნდა დააკლოს. ამიტომ როგორც მოსახლეობა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა და ჩვენც, ჟურნალისტებიც, უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვინც სიკეთისთვის ირჯება — „ჰკითხონ ასთა“.

დიახ, ჰკითხონ იმ ხალხს, ვისთვისაც ეს სიკეთე კეთდება, რადგან, როგორც ჩვენი წინაპრები ოდითგან გვმოძღვრავდნენ, კარგის მძნელს გზად გავლისას სიკეთე წინ დახვდება ხოლმე.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**სურათზე:** ყველა კეთილი გზა ტაძრისკენ მიდის, მათ შორის ლატალში — მაცხოვრის ტაძრისაკენ.

**ზაზა ხელაძის ფოტო**

◉ ეს აქტუალურია

# გამოფხიზლდით, მეგზევეებო, მშენებლებო!

**მკითხველისთვის ცნობილია, რომ ჩვენი სააგენტო 2006 წლიდან აწარმოებს ჟურნალისტურ გამოძიებას საავტომობილო გზების დარგის საჭირბოროტო საკითხებზე.**

**ამ გამოძიების მიზანი იყო და არის:**

**დარგის ადგილობრივი ორგანიზაციების მატერიალური და ტექნიკური მაჩვენებლების ზრდა-განვითარება, რისთვისაც საკანონმდებლო დონეზე მოვითხოვდით, რომ შეწყდეს მსოფლიო ბანკის ე.წ. მოთხოვნები, რომელთა შედეგადაც საავტომობილო გზების სამამულო დარგის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, ფაქტობრივად, საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობას უკრძალავდნენ;**

**მოვითხოვდით სამამულო საპროექტო-სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატივების ჩამოყალიბებას და მიღება-დამტკიცებას, რაც გათვლილი იქნებოდა ქვეყნის კლიმატურ და გეოლოგიურ მაჩვენებლებზე;**

**მოვითხოვდით აგრეთვე, ჯერ კიდევ 2004-2005 წ.წ. გაბათილებული ლიცენზიების შესახებ კანონის არა მარტო აღდგენას, არამედ მისი მოთხოვნების პროფესიული მაჩვენებლების გაღრმავება-დაკონკრეტებას.**

**უნდა აღდგეს კანონი, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ტენდერებში მონაწილე ქართული ორგანიზაციების ე.წ. პროფესიული მაჩვენებლების დადგენისას გათვალისწინებული იყო არა 15 %-იანი (გაუქმებულია), არამედ 50 %-იანი შეღავათი, რაც ასე აუცილებელია სამამულო ორგანიზაციების განვითარებისთვის.**

**უნდა განახლდეს გაბათილებული კანონი საპროექტო-სამშენებლო სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ, რომლის სახელწოდება ასე გვესახება: კანონი „საპროექტო-სამშენებლო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ“. ამის შემდეგ ნებისმიერი სამშენებლო პროექტი გაივლის საექსპერტო შემოწმებას არა მხოლოდ ფუძე-საძირკვლის და კონსტრუქციის ნაწილში, არამედ პროექტის იმ პარამეტრების მიხედვით, რომელთა შემოწმება-ექსპერტიზა, თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკას, ხორციელდება 20-ზე მეტი პარამეტრის საფუძველზე, მათ შორის სახარჯთაღრიცხვო ნაწილშიც. ამავე დროს, აღნიშნული ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს არა სახელმწიფოს, არამედ ალტერნატიული კერძო სტრუქტურების მხრიდან.**

**უნდა გაუქმდეს დანაშაულებრივი ხასიათის პრაქტიკა, რომელსაც გვთავაზობენ სატენდერო ორგანიზაციები, ტენდერში გამარჯვებას ანიჭებენ იმას, ვინც ყველაზე დაბალ საფინანსო მაჩვენებელს დაასახელებს. ხშირ შემთხვევაში ეს თანხა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მაჩვენებელზე დაბალია!**

**საკანონმდებლო დონეზე ნებისმიერი პროექტის სახარჯთაღრიცხვო მაჩვენებლის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულების მშენებლობის დროს მოსალოდნელი ცვლილებები, რასაც თავის საქმიანობაში დაექვემდებარება როგორც დამკვეთი, ისე მშენებელი.**

**ხელისუფლება უგულებელყოფს პირველის გარდა (მსოფლიო ბანკთან დაკავშირებით), ჩვენს ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ მოთხოვნებს.**

**სახელმწიფოს პოზიციას, სამწუხაროდ, აქტიურად ვერ ეწინააღმდეგებიან საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, მშენებელთა კავშირში, მშენებლობის ექსპერტთა ასოციაციაში, მშენებლობის შემფასებელთა კავშირში, მეგზევეთა კავშირში.**

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ ამ საზოგადოებრივ და ამავე დროს პროფესიულ ორგანიზაციებს თხოვნით მიმართავს, რათა უახლოეს დროში მათი ხელმძღვანელი პირები და წამყვანი სპეციალისტები საგანგებო ყრილობაზე შეიკრიბონ, მიიღონ ჯანსაღი, ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, რომელიც გაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს. თავის მხრივ, ხელისუფლება, დარწმუნებული ვარ, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ობიექტურ და დასაბუთებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს შემოგვთავაზებს.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე“

№ 122. პარასკევი, 1 ივლისი, 2011 წელი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსეთის სატელევიზიო ბატონობას ბრძოლაში იწვევს

**თბილისის ერთ-ერთი მთავარი ქუჩის შესახვევში ხუთსართულიანი სახლია, რომლის ეზოც სავსეა ახალგაზრდა ჟურნალისტებით, რომლებიც საუბრობენ და ეწევიან სიგარეტს ქართულ წვიმიან დღეს.**

შენობის შიგნით არის პატარა სტუდია სამი დანადგარითა და მოწყობილობით – ახალი ამბებისთვის, სპორტისა და თოკ-შოუსთვის, რომლებიც შეყრილი არიან ერთ შენობაში. „კავკასიის პირველი საინფორმაციო“ – ეს არის პატარა სათანამგზავრო სატელევიზიო კომპანია დიდი ამბიციებით, კერძოდ კი მას სურს ბრძოლაში გამოიწვიოს მოსკოვის ბატონობა რუსულენოვანი ახალი ამბების სეგმენტში.

„ჩვენ არ ვართ ანტირუსული არხი, – ამბობს ტელეარხის ბრიტანელი ხელმძღვანელი როზ პარსონსი. – ჩვენ არ გაგვაჩნია ნეგატიური გრძნობები რუს ხალხთან, რუსულ კულტურასთან, რუსულ ისტორიასთან და, რაც გინდათ კიდევ, დაკავშირებით“.

„ჩვენ გვსურს მივაწოდოთ პატიოსანი სურათი ამ ქვეყნის ხალხს, ვისაც სწყურია მართალი ინფორმაცია“, – ამბობს იგი.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა განუხრელად უარესდება საქართველოში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომლის დროსაც გადააყენეს ქვეყნის მთავრობა, რომელიც უმთავრესად შედგებოდა რუსეთისადმი ერთგულად განწყობილი საბჭოთა ეპოქის ჩინოვნიკებისგან, ქვეყნის ხელმძღვანელობა კი დაიწყო ახალგაზრდა თაობამ, რომელიც ორიენტირებული იყო დასავლეთზე და რომელსაც სათავეში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილი, ამჟამინდელი პრეზიდენტი.

2008 წლის ომმა საქართველოს რესპუბლიკიდან გამოყოფილ სამხრეთ ოსეთზე კონტროლის გამო გაართულა დიპლომატიური ურთიერთობები. დავები გრძელდება რეგულარულ საფუძველზე, თანაც საბაბები და გამოვლინებანი მერყეობენ ძლიერ და რუტინულ პროზაულ ურთიერთობებს შორის (როდესაც, მაგალითად, საქართველო ბრალს სდებს რუსეთს მის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი მოწყობილობების დაყენებაში; ორშაბათს კი, მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ყველა ქვეყანამ საქართველოს უნდა უწოდოს მისი ინგლისურენოვანი სახელწოდება „ჯორჯია“ და არა რუსულენოვანი სიტყვა „გრუზია“ძ.




სააკაშვილმა იცის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ძალა. მთავარ ტელეარხ „რუსთავი-2“-ის მხრიდან მხარდაჭერის მოპოვება დაეხმარა მას მოსულიყო ხელისუფლებაში, ხოლო ფართო ხელმისაწვდომობამ, რაც მან მიანიჭა დასავლელ ჟურნალისტებს სამხრეთ ოსეთში ომის დროს, ასევე სარგებელი მოუტანა მას.

„პირველი კავკასიური“ ამოქმედდა იანვარში, ახლა კი იქ 275 თანამშრომელია. პარსონსმა, რომელიც პირველად ჩამოვიდა საქართველოში 1980 წელს ქართული ნაციონალიზმის საკითხებზე დისერტაციის მომზადების ფარგლებში, დაახლოებით ათი წელი იმუშავა „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლად მოსკოვში, შემდეგ შეუერთდა „რადიო თავისუფლების“ ქართულ სამსახურს, შემდეგ მუშაობდა პარიზში საერთაშორისო საქმეთა რედაქტორად. არხს, სხვა ქალაქებთან ერთად აქვს თავისი საკორესპონდენტო პუნქტები მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ერევანში, სტამბოლსა და ვაშინგტონში. ამჟამად განიხილავენ საკორესპონდენტო პუნქტის გახსნის შესაძლებლობას თეირანში. არხი მთლიანად ფინანსირდება საქართველოს სახელმწიფო ტელემაუწყებლობის მიერ.

„ჩვენ ვგავართ სხვა საერთაშორისო ტელეარხებს მთელ მსოფლიოში – „ბი-ბი-სის“, „ფრანს-24“, „დოიჩე ველეს“ – რომლებსაც განზრახული აქვთ იყვნენ ობიექტური, პატიოსანი, ნეიტრალური ტელეარხები – ამბობს პარსონსი. – მაგრამ, ამას გარდა, ისინი არიან თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური რუპორები“.

აი, რატომ ხდება „პირველი კავკასიური არხის“ ტრანსლირება თანამგზავრით მთელ რიგ რჩეულ რეგიონებში, ისეთებში, როგორიცაა რუსეთის ჩრდილოეთი კავკასია, რომელიც რუსეთის სამხრეთში ერთ-ერთი მეამბოხე რეგიონია. საქართველოს აქვს საზღვარი კავკასიის ათი რესპუბლიკიდან ორთან – დაღესტანთან და ჩეჩნეთთან.

„საქართველოს აღქმა ჩრდილოეთ კავკასიაში საერთოდ და მთლიანადაც იყო და არის ნეგატიური, – ამბობს პარსონსი. – ეს აღქმა ნეგატიურია, ვინაიდან იმ ხალხს, რომელიც ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში, ინფორმაციის მიღება შეუძლია რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხოლოდ ფილტრის მეშვეობით“.

ეს ნაწილობრივ რეგიონული მიდგომაა. არხი ასევე თავისი ყურადღების კონცენტრაციას აკეთებს ირანსა და თურქეთზე, ვინაიდან, როგორც ამას პარსონსი განსაზღვრავს, „საქართველო და კავკასია დიდი ხანია იყვნენ ერთი სამყაროს ნაწილი, რომელიც მოიცავს ასევე თურქეთს და ირანს, და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩნდნენ რუსული გავლენის სფეროში.

მაგრამ სტრატეგია წინ მიიწევს. ფოკუსი ჩრდილოეთ კავკასიაზე – ესეც არის საქართველოში გაბატონებული შეხედულება, რომელიც ასევე სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვნად ცნობილი ხდება მოსკოვში ლიბერალურ ელემენტებს შორის, და რაც იმას გულისხმობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, და არც ძალიან შორეულ მომავალში, რუსეთი დაკარგავს ჩრდილოეთ კავკასიას ან გააფთრებული საბრძოლო მოქმედებების, ანდა იმ უბრალო შეგნების გამო, რომ რეგიონი მას ძალიან ძვირი უჯდება შესანახად.

„საქართველო უკიდურესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩრდილოეთ კავკასიასთან კონსტრუქციულ ურთიერთობას, რაც ემყარება ფაქტობრივ ინფორმაციას“, – ამბობს პარსონსი. შემდეგ იგი აღნიშნავს, თანაც ისე, თითქოს ეს იყოს ყველაზე ჩვეულებრივი ამბავი დედამიწაზე: „თუ მომავალში რუსეთი დაიშლება, საქართველოსთვის არ იქნებოდა საინტერესო ცუდი ურთიერთობები ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან“.

ეს არის სტრატეგია, რომელსაც იზიარებს საქართველოს ხელმძღვანელობა, მაღალი რანგის ოფიციალური პირები, როგორიცაა, მაგალითად, სააკაშვილი. ისინი ცდილობენ ერთმანეთს დაუკავშირონ ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანიძ. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, შემოიღოს ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებისთვის უვიზო რეჟიმი.

დღეისათვის არხის მოცვა დიდი არ არის. მაყურებელთა რაოდენობა სათანამგზავრო არხებისთვის ჩვეულებრივად ძნელი დასათვლელია, მაგრამ არხის ვებგვერდზე, რომლის ინგლისური ვერსიაც წინა კვირას ამოქმედდა, შემოდის დაახლოებით 15 ათასი უნიკალური მომსვლელი, და დაახლოებით ნახევარი მათგანი – რუსეთიდანაა.

„ბრძოლა რუსეთის პროპაგანდასთან ჩვენი ძირითადი მიზანი როდია, – ამბობს პარსონსი. – ჩვენ ვაწვდით გაცილებით უფრო პატიოსან სურათს ვითარებისა ამ ქვეყანაში“.

რუსეთმა აშკარა ყურადღება მიაქცია ამ არხს. არხის წინა რეინკარნაციამ ის იყო დაიწყო მუშაობა, რომ დაკარგა თავისი ლიცენზია სათანამგზავრო მაუწყებლობაზე – მუშაობის დაწყებიდან სულ რაღაც რამდენიმე დღის შემდეგ იძულებული გახდა დაეთმო უფრო კონკურენტუნარიანი წინადადებისთვის „გაზპრომ-მედიას“ მხრიდან, რომლის ქვედანაყოფებიც წარმოადგენდნენ რუსეთის გაზის გიგანტს და რომლის შემადგენლობაშიც შედიან უდიდესი მედია-ჰოლდინგები რუსეთის შიგნით. გასულ თვეში არხის მოსკოვის კორესპონდენტი დააკავეს უაკრედიტაციოდ მუშაობის გამო, დოკუმენტისა, რისი მიღებაც ხდება ძალიან რთული, როდესაც კრემლს უნდა, რომ ეს ასე იყოს.

არხი მაუწყებლობს 24 საათის განმავლობაში, გადასცემს სხვადასხვა პროგრამებს, დაწყებული ახალი ამბებიდან და გაგრძელებული თავად არხის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმებითა და გადაცემებით. მას აქვს ბრწყინვალე და გადაცემის მსუბუქი სტილისტიკა, განსაკუთრებით თუ მას შევადარებთ ჩვეულებრივ კონსერვატიულს, რამდენადმე სოვეტიზირებულ მიდგომას, რითაც სარგებლობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოშიც.

სააკაშვილის კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან, გახდა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სიგნალი იმისა, რომ ის არცთუ ისეთი იდეალური დემოკრატიაა, როგორადაც მას დასავლეთი ხატავს.

მაგრამ პარსონსი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მას აქვს სრული კონტროლი სარედაქციო პოლიტიკაზე. „მას შემდეგ, რაც ჩვენ ეთერში გავედით 24 იანვარს, ჩემთან ერთხელაც არ დაურეკიათ, არ გამოუგზავნიათ იმეილი, წერილი ან საჩივარი იმაზე, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ“. ამას კი მიეკუთვნება საქართველოს შიგნით მომხდარი მოვლენების ყოველთვის კრიტიკული გაშუქება, რაც ძალიან წააგავს „რუსია ტუდეის“ – კრემლის ინგლისურენოვან სატელევიზიო პროექტს, რომელიც ნებას რთავს შინაგანი მოვლენების ასეთ გაშუქებას და რისი წარმოდგენაც შეუძლებელია ადგილობრივ ტელევიზიაში.

„ეს მართლაც ყველაზე ღია და ობიექტური არხია რეგიონში“, – თქვა პარსონსმა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომელ რეგიონს შეეხება ეს საუბარი, ეს ჯერ კიდევ ბევრ რამეზე არ მეტყველებს. მაგრამ დასაწყისი საინტერესოა.

globalpost

## დედამიწის ზურგზე



**მინსკში „მდუმარე ამბოხებაში“ მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 5 ათასამდე კაცმა**

ინტერნეტში ნაჩვენებ რგოლებზე მოჩანს, თუ კუნთმაგარი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მკაცრი სახის ადამიანები როგორ იტაცებენ ხალხის რიგებიდან პიროვნებებს და სწრაფად მიჰყავთ ისინი ავტობუსებისკენ. თვითმხილველთა სიტყვებით, მილიცია ამჯერად მოქმედებდა უფრო მკაცრად, ვიდრე წინა აქციების დროს. სამართალდაცვის ორგანოების მონაცემებით, დააკავეს დაახლოებით 160 კაცი.

* * *

**აფრიკის კავშირმა საფრანგეთს ბრალი დასდო ლიბიის „სომალიზაციაში“**

კავშირის შეშფოთება გამოიწვია ფრანგი სამხედროების აღიარებამ იმის შესახებ, რომ ისინი აიარაღებდნენ ლიბიელ მეამბოხეებს, რომლებიც ებრძოდნენ მუამარ კადაფის რეჟიმს. ამ დროს ფრანგები ინფორმაციას არ აწვდიდნენ თავიანთი მოქმედებების შესახებ მოკავშირეებს და მოქმედებდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საპირისპიროდ.



* * *

**ჰაკერებმა ტერორისტებს „ალ-ქაიდადან“ წაართვეს ინტერნეტი**

უცნობმა პირებმა გატეხეს საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფების კუთვნილებაში არსებული საიტები, რითაც წაართვეს მას შესაძლებლობა გადმოსცენ ინტერნეტითა და ვიდეოთი თავიანთი განცხადებები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შეტევა განხორციელდა მაღალ დონეზე. ერთი წლის წინათ შემტევებმა ტერორისტების საიტზე ბომბის შექმნის ინსტრუქცია შეცვალეს კექსების რეცეპტით.



* * *

**ნიუ-იორკში ათობით რეისი შეაჩერეს ასაფრენ ზოლზე 150 კუს გამო**

კუები გამოძვრნენ ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე კვერცხის დასადები ადგილის საძებნელად. რეისები დააყოვნეს საშუალოდ ნახევარი საათით. აეროპორტის თანამშრომლებს გადაჰყავდათ ქვეწარმავლები უსაფრთხო ადგილზე. ეს პირველი შემთხვევა როდია ჯონ კენედის აეროპორტის ისტორიაში – იგი ხომ ყურის სანაპიროზეა.



* * *

**საუდის არაბეთმა გააფრთხილა ნატო, რომ მიიღებს ბირთვულ იარაღს, თუ მას ირანი შექმნის**

„ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ სიტუაციაში, როდესაც ირანს აქვს ბირთვული შეიარაღება, ჩვენ კი არა. ყველაფერი მარტივია, – იტყობინება ბრიტანული გაზეთის „გარდიანის“ საუდის არაბეთის წყარო. – თუ ირანი დაამუშავებს ატომურ იარაღს, ეს ჩვენთვის იქნება მიუღებელი და ჩვენ გავაკეთებთ იგივეს“, – განმარტა მან.



## საპროცენტო განაკვეთი

# რათა მდიდრებმა ბევრი არ იტირონ!

**(მეექვსე გვერდიდან)**

საქმე ის არის, რომ **თუმცა ამ ბოლო ხანს საქართველოში კომერციული ბანკების საკრედიტო შესაძლებლობები (ანუ, საბანკო ტერმინი რომ ვიხმაროთ, „პორტფელი“) მნიშვნელოვნად (მეხუთედზე მეტად) გაიზარდა, ხელსაყრელი პირობებით მათი აღება მსესხებელთა მხოლოდ საკმაოდ ვიწრო წრისთვისაა ხელმისაწვდომი.** ამ „რჩეულ საზოგადოებაში“ იურიდიული პირები, უწინარესად, სხვებზე მეტად სტაბილური ბიზნესის და, შესაბამისად, შემოსავლის მქონე იმპორტიორი და დეველოპერული კომპანიები არიან, რომელთა უმრავლესობაში თავიანთი ინტერესები სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს აქვთ, ან რომლებსაც ისინი ლობირებენ. რაც შეეხება „მაღალი საზოგადოების“ ამ მხრივ „გამორჩეულ“ ფიზიკურ პირებს, ესენიც იმავე „კვალზე აღმოცენებულნი“ არიან, რადგან იმავე სამრეწველო თუ საფინანსო ჯგუფების მაღალი რანგის მოხელეები და უკვე დიდი ქონების მეპატრონე „რიგითი“ მოქალაქეები არიან.



როგორც ჩანს, საქართველოში „საფინანსო ელიტასა“ და დანარჩენ უბრალო მოკვდავთა შორის არსებული ფინანსური ხრამი (მაინცდამაინც სიტყვა „უფსკრული“ რომ არ ვიხმაროთ), წლიდან წლამდე ღრმავდება, რადგან ხელისუფლება ისედაც დუხჭირი ცხოვრების კიდევ უფრო გასამკაცრებლად ახალ-ახალ „ჭანჭიკებს“ უჭერს, რაც არც უცხოელ ექსპერტებს გამოპარვიათ. და თუმცა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და მის ყოველწლიურ გაუმჯობესებაზე ამდენი ლაპარაკია, ყურადღებას ნაკლებად თუ ამახვილებს ვინმე, რომ ეს, უწინარესად, უცხოელ ინვესტორებს ეხებათ, რომლებიც, რომ იტყვიან, „თავიანთი სამოვრებით“ მოდიან. რაც შეეხება ადგილობრივი საფინანსო რესურსების ადგილობრივი რიგითი მსესხებლებისთვის ხელმისაწვდომობას, ამ მხრივ საქართველო მსოფლიოს 139 ქვეყანას შორის 125-ე ადგილზეა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## იყიდეთ, შეეწიეთ!

# დევნილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ოფისში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა, რომლიდანაც შემოსული თანხა მთლიანად დევნილ ბავშვებს მოხმარდება.**

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრების სხვა ნამუშევრებს 19 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ნებრასკას შტატში გაიტანენ და იქ გამართულ გამოფენა-გაყიდვასაც საქველმოქმედო სახე ექნება.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებს, მათ სამომავლო გეგმებსა და ნებრასკის შტატში დაგეგმილ გამოფენა-გაყიდვას მიეძღვნა გადაცემა, რომელიც მედია-კავშირ ობიექტივის სტუდიიდან, რადიო 105-ის პირდაპირი ეთერით სამშაბათს, 28 ივნისს გავიდა.

გადაცემის წამყვანები იყვნენ თიკა გოგიტიძე და გია გაბრიჭიძე. გადაცემას სტუმრობდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ხელმძღვანელი რიტა პროკოპენკო, გამოფენის ორგანიზატორი თამარ ბანცაძე, ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ხატია მუსერიძე. ასევე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი და მხატვარი დავით ბაძაღუა.

როგორც გადაცემაში ითქვა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ინიციატივით, 1 ივლისს აფხაზეთიდან დევნილი 15-მდე მხატვრის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა გაიხსნება, სადაც მათი 50 ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი.

გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს შეეძლება მისთვის სასურველი ნახატის ადგილზე შეძენა.



რაც შეეხება გაყიდული ნახატებიდან შემოსულ თანხას, ის მთლიანად დევნილ ბავშვებს მოხმარდება.

19 ივლისს ამ გამოფენის მონაწილე მხატვრების სხვა ნამუშევრებს ნებრასკის შტატში წაიღებენ, სადაც ანალოგიური ფორმატის გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.

გამოფენის ორგანიზატორთა თქმით, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების უცხოეთში პოპულარიზაციას, ახალი კავშირებისა და ურთიერთობების დამყარებას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ სხვა პროექტების განხორციელებასაც გეგმავს, რომელთა მთავარი მიზანი დევნილი ბავშვებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცის გაუმჯობესებაა.

ნებრასკაში გასაგზავნ ნახატებთან დაკავშირებით, ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ ისინი ძალიან მაღალი დონის ნამუშევრებია და მათ შერჩევაში საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტები იღებდნენ მონაწილეობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მხატვრის დავით ბაძაღუას ნამუშევრები, ამ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკის გალერეა „აგორამ“ აღიარა და იქ მალე მისი პერსონალური გამოფენა გაიმართება.

**ნინი ადუაშვილი**

## შეხვედრა წახკაძორში

# როცა პოლიტიკოსები ჩხუბობენ, ჟურნალისტები გზებს ეძებენ...

**საქართველოსა და რუსეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური კრიზისის მედიასაშუალებებში ასახვასთან დაკავშირებული პრობლემები, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ორი ქვეყნის ეკონომიკაზე მისი ზეგავლენა, ასევე ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები — ეს იყო ძირითადი საკითხები, რომლებიც ქართველმა და რუსეთელმა ჟურნალისტებმა სომხეთის ქალაქ წახკაძორში 23-24 ივნისს გამართულ რიგით მეორე ქართულ-რუსულ მედიაფორუმზე განიხილეს.**

მედიაფორუმში მონაწილეობდნენ: გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის“, „ასავალ-დასავალის“, „საქართველო და მსოფლიოს“, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, „ნეზავისიმაია გაზეტას“, „როსიისკაია გაზეტას“ და სხვათა ჟურნალისტები. შეხვედრას ორივე ქვეყნის ექსპერტებიც ესწრებოდნენ. მსგავსი შეხვედრა 2010 წლის დეკემბერში „კავკასიური თანამშრომლობის“ ორგანიზატორობით გაიმართა, რაც მიზნად ორი ქვეყნის კავშირების გამყარებას ისახავდა.



23 ივნისს მედიაფორუმი გახსნილად გამოცხადდა. თემა გახლდათ სოციალური და ეკონომიკური განვითარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე საქართველოში 1991-2011 წლებში. დიალოგი ჟურნალ „ექსპერტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრე ივანტერმა და ეკონომისტმა იოსებ არჩვაძემ წარმართეს. ითქვა, რომ კრიზისმა ყველაზე მეტად ბელარუსი დააზარალა, თუმცა ეკონომიკური ვარდნა რუსეთსა და სხვა ქვეყნებშიც იგრძნობოდა.

ბუნებრივია, ისეთი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა, რომელიც ძირითადად, მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარებასა და კრედიტებზეა დამოკიდებული, კრიზისი მძიმედ აისახებოდა.

მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება გარკვეულწილად აისახება თითოეული ქვეყნის ცხოვრებაზე, მათი გლობალურ-ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირების ხარისხის შესაბამისად და, განსაკუთრებით, საქართველოს მსგავსად მომეტებული ეკონომიკური რისკის მქონე ქვეყნებზე, რომელთა ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია უცხოურ დახმარებებსა და ინვესტიციებზე, შიდა ბაზარი კი — იმპორტზე.

რუსი მომხსენებლები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება რუსული ბაზრისადმი ირაციონალურია, თითქოს ქართულ მხარეს აღარ სჭირდება რუსული ბაზარი, რადგან ქართულ ღვინოებსა და სხვა პროდუქტებს უკვე მოუძებნეს გასაღების სხვა ბაზრები, ეს, რა თქმა უნდა, მთლად ასე არ არის, თუ რეალურ ციფრებს გავეცნობით. ეკონომისტმა იოსებ არჩვაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ძირითადად, ორიენტირებულნი ვიყავით რუსეთის ფედერაციაზე. — საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად მზადაა თავად რუსული მხარე, თავისი ბაზარი დაგვითმოს უწინ არსებული პირობებით. ამ კითხვაზე რუსულმა მხარემ უპასუხა: ქართულ-რუსული შიდა პოლიტიკა იმდენად ჩაიკეტა და ზოგადად იმდენად აგრესიული გახდა ერთმანეთის მიმართ, რომ კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია. რა თქმა უნდა, იმპორტი არსებობს, თუმცა, სამწუხაროდ, ექსპორტის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ვიმედოვნებთ, რომ პერიოდული მოლაპარაკება ორივე მხარეს სარგებელს მოუტანს.

იოსებ არჩვაძე კიდევ ერთ თემას — უმუშევრობას შეეხო. გამოდის, რომ მდიდრები უფრო მდიდრები გახდნენ, ხოლო ღარიბები უფრო გაღარიბდნენ, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე.

შეხვედრაზე განიხილეს მედიის საკითხები. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ჟურნალისტმა იური სიმონიანმა თავისი ხედვა შემდეგნაირად გადმოსცა: ის, რაც ხდება ქართულ-რუსულ მედიასივრცეში, გარკვეულწილად თვით ჟურნალისტების ბრალიცაა. ჟურნალისტების ნაწილი პროპაგანდაშია ჩართული, ზემოდან შეკვეთებს ასრულებენ.

დისკუსიაში ინტერნეტ-პორტალის თანარედაქტორი გულბათ რცხილაძე ჩაერთო. 1992-1993 წლებში სიტყვას ფასი ქონდა. 2003 წლიდან კი „ვარდების რევოლუციამ“ ბევრი რამ შეცვალა. გეოპოლიტიკური ცენტრის მკვლევარმა ნანა დევდარიანმა სიტყვის თავისუფლება ავტობანს შეადარა. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა ზუგდიდში, ფოთში. ინფორმაციის მოპოვება ლამის სიცოცხლის ფასად უჯდებათ. იური სიმონიანმა აღნიშნა, რომ ის რაც ქართულ-რუსულ მედიაში ხდება, ის ხდება ყველა სახელმწიფოშიც. თუმცა არის მომენტი, როდესაც ჟურნალისტი თვითონვე არღვევს თავის უფლებებს. ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტი და რესპონდენტი ერთსა და იმავე სიტყვებით ერთსა და იმავე აზრებს გადმოსცემენ. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ეკარგება სიტყვას ფასიო. ოღონდ ერთი კია ჟურნალისტებს მიეცა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

შეხვედრაზე კიდევ ბევრი საკითხი განიხილეს. თუმცა დაწვრილებითი ანალიზისთვის დრო არ აღმოჩნდა საკმარისი.

**ირინა ობოლაშვილი**


# განცხადება

**სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54. 1 პრიმა პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 19.5 პუნქტის შესაბამისად ოლეგ გიორგის ძე ზირიანოვმა, სს „ელმავალმშენებლის“ 87 პროცენტი აქციათა მფლობელი კომპანია „LOKO TRANS HOLDINGS B.V.“-ის რწმუნებულმა განიხილა რიგი საკითხები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:**

**1. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის წარმოდგენილი ანგარიში 2010 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.**

**2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2010 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**3. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვროს 9 კაცით.**

**3. 1. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან გამოწვეულნი იქნან ვიქტორ ივანეს ძე ალექსანდროვი, ევგენი ალექსანდრეს ძე ალექსეევი, სტანისლავ სერგოს ძე ბოროვიკოვი, დიმიტრი სერგოს ძე გლაზირინი, ევგენია ანატოლის ასული პანოვა.**

**4. დადგინდეს 2011 წლის 1 ივლისიდან სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების წესი. აქციონერებს, აღნიშნულ ანაზღაურების წესზე კონკრეტული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოში.**

**5. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმავალმშენებლის“ აუდიტორად 2011 წელს არჩეულ იქნა შპს „ქართული აუდიტორული კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205 207 319, დარეგისტრირებული 2007 წლის 28 მაისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ).**

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## მისაბაძი მაგალითი




# „ბორჯომი“ - ნაკრების ახალი პარტნიორი

**კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და კომპანია „ბორჯომის“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს.**

შეხვედრას ესწრებოდა ეროვნული ნაკრების თბილისში მყოფი ყველა წევრი: ნიკა ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკა მეტრეველი, ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, ლაშა ფარღალავა, ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი...

— ეროვნული ნაკრების პარტნიორად ასეთი სერიოზული კომპანიის გამოჩენა ჩვენთვის საამაყო და სასიხარულოა. იმედია, ნაკრები ყველას იმედებს გაამართლებს, — აღნიშნა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

**ზაზა კიკვაძემ** დასძინა:

— დღეს გაფორმებული პარტნიორობით, პირველ რიგში, მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მეტად საპასუხისმგებლო თამაშების დროს, რომლებიც ლიტვაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში. ჩვენი კომპანია გარკვეულწილად მოვალეც არის გვერდით დაუდგეს გუნდს, რომელსაც ასეთი დიდი მისია აკისრია - საქართველოს სახელის საერთაშორისო არენაზე გატანა.

## ჩოგბურთი

# მერვედფინალში — მერვესთან

**იტალიის ქალაქ კუნეოში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 100 000 დოლარი) წარმატებით აიღო სტარტი საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა.**



**პირველ წრეში მან მასპინძელ კარინ კნაპს აჯობა დაძაბულ პაექრობაში — 6:3, 4:6, 7:6. მართალია, 24 წლის იტალიელს ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში ამჟამად 251-ე ადგილი უკავია, მაგრამ სამი წლის წინათ 35-ე იყო.**

ტატიშვილი მერვედფინალში მერვე ნომრად განთესილ ანასტასია იაკიმოვას (ბელარუსი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გერმანელი კატრინ ვოერლე დაჯაბნა — 6:4, 7:5. წყვილთა ტურნირში ჩვენებური ხორვატ მარიანა ლუჩიჩთან ერთად მეოთხედფინალშია და იქ მინელასა (ლუქსემბურგი) და ვოეგელეს (შვეიცარია) დუეტს შეხვდება.

**ლაშა დიდია**

## ველოსპორტი

# ნადირაძე გამოირჩა



**საგზატკეცილო ველორბოლაში საქართველოს ჩემპიონატს, რომელშიც თბილისელი, ქუთაისელი, აჭარელი და ზესტაფონელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მცხეთამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში პირველობისთვის იბრძოდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე უფროსები. გაუწყებთ ორივე ასაკში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.**

**ახალგაზრდები. ინდივიდუალური რბოლა,** 10 კმ. 1. ნიკა გოგიაშვილი, 2. გურამ აზმაიფარაშვილი, 3. კობა შუბითიძე (სამივე — თბილისი). **ჯგუფური რბოლა.** 40 კმ. 1. ალეკო ქათამაძე (ქუთაისი), 2. აზმაიფარაშვილი, 3. გოგიაშვილი.

**უფროსები. ინდივიდუალური რბოლა,** 32 კმ. 1. გიორგი ნადირაძე (აჭარა), 2. გიორგი სიდიანი (თბილისი), 3. ვიტალი ეროხინი (ქუთაისი). **ჯგუფური რბოლა.** 120 კმ. 1. ნადირაძე, 2. სიდიანი, 3. ბაჩუკი ბერაძე (ზესტაფონი). **ორი ეტაპის ჯამი:** 1. ნადირაძე (48 ქულა), 2. სიდიანი (40), 3. ეროხინი (32).

## რაგბი

# „არმაზმა“ „ლოკომოტივი“ ვერ გააჩერა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში საზაფხულო არდადეგების წინ მე-7 ტურის გადადებული შეხვედრა გაიმართა: საქართველოს ჩემპიონი „ლოკომოტივი“ და „არმაზი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს გუნდები გათამაშების ცხრილში გვერდი-გვერდ იმყოფებოდნენ და განვლილი ექვსი ტურის მონაგრით ჩემპიონი მხოლოდ ქულით უსწრებდა მეტოქეს. პაექრობა რკინიგზელთა იერიშებით დაიწყო და კვინიხიძემ მე-5 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. ცოტა ხანში „ლოკომოტივმა“ ლელოც გაიტანა. პირველი ტაიმიც 19:9 მოიგო.**

შესვენების შემდეგ „არმაზი“ გააქტიურდა, ორი ჯარიმით ექვს ქულასაც გამორჩა, თუმცა მეტი ვეღარ შეძლო და მატჩი 15:19 წააგო. ამ წარმატების



შემდეგ რკინიგზელები ქულებით „ლელოს“ და „აკადემიას“ გაუთანაბრდნენ, მაგრამ ორივე გუნდს ურთიერთშეხვედრებში მარცხის გამო ჩამორჩება.

მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე 3 სექტემბერს დაიწყება.

**ლექსო ცინცაძე**

## ძიუდო

# ათწლეულის საუკეთესო შედეგით



**ამას წინათ მალტაზე გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ქართველმა ფალავნებმა გიორგი ვაზაგაშვილის ხელმძღვანელობით ბოლო ათწლეულის საუკეთესო შედეგი აჩვენეს.** როგორც გაუწყეთ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვანო მამისაშვილი (55 კგ) და ბექა ღვინიაშვილი (81). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ თამაზ კირაკოზაშვილი (60), შალვა ჩოჩელი (90) და გიორგი ლაზუაშვილი (+90), ხოლო ლევან გუგავა (73) და გურამ თუშიშვილი (90) ბრინჯაოებს დასჯერდნენ. 37 ქვეყანას შორის გუნდურ ჩათვლაში „ჯვაროსნებმა“ მე-2 ადგილი დაიკავეს. 11-14 აგვისტოს ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტები კიევში თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზე გამოვლენ. ახალი შეჯიბრებებისთვის მზადების წინ წარმატებულ ფალავნებს სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი შეხვდა და ბიჭებს წარმატება მიულოცა.

**გივი გაგუა**

## ინტერნეტიდან

### ჯერ სადა ხართ

**არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის „რივერ პლეიტის“ უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას მის მრავალრიცხოვან ფანატ-**



**თა მიერ ბუენოს-აირესის ქუჩების დარბევა მოჰყვა, თუმცა ამით ყველაფერი როდი დასრულდა.**

გუშინ გამთენიისას ბომბი აფეთქდა ლეგენდარული გუნდის დირექტორთა საბჭოს წევრის დანიელ მანკუზის სახლის შესასვლელთან, რომელიც „რივერის“ პრეზიდენტის დანიელ პასარელას მხარდამჭერად ითვლება. სწორედ ეროვნული ნაკრების 1978 წლის მოდელის კაპიტანს მიიჩნევენ გულშემატკივრები აღნიშნული ფიასკოს მთავარ დამნაშავედ.

მომხდარის გამოძიება უკვე დაიწყო. ალბათ, გაგრძელებაც იქნება.

### როგორც იქნა

**მას შემდეგ, რაც სამშაბათს წვიმის გამო უიმბლდონის ტურნირის ერთბაშად 41 მატჩი გადაიდო, ორგანიზატორებმა პირველი კორტის გადახურვაზე დაიწყეს ზრუნვა.**



განზრახვა, იცოცხლეთ, მშვენიერია, მაგრამ მის ხორცშესხმას, ალბათ, რამდენიმე წელიწადი დასჭირდება. მიზეზი ბანალურია — გაისად სწორედ აღნიშნულ სარბიელზე უნდა გაიმართოს ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი, მის დაწყებამდე კი რეკონსტრუქციის დამთავრება არანაირად არ მოესწრება.

შეგახსენებთ, რომ 2009 წელს უკვე განხორციელდა ცენტრალური კორტის მოძრავი გადახურვა, რაც 80 მილიონი ევრო დაჯდა.

### მათეუსის კოლექცია



**რამდენადაც მდიდარია გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელის ლოთარ მათეუსის ჯილდოების კოლექცია, იმდენად მატულობს ამ გამოუსწორებელი მექალთანის სასიყვარულო აბლაბუდაში გაბმულ მდედრთა რიცხვი.**

შეგახსენებთ, რომ პირველმა ცოლმა სილვიამ ლოთარს 11-წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში ორი გოგონა აჩუქა. შემდეგ იყო ხუთწლიანი ულელი შვეიცარიელ ტელეწამყვან ლოლიტა მორენოსთან, სამწლიანი ერთგულების ფიცი სერბ მზეთუნახავ მარიანასთან და, აი, მეოთხეც — პოლონელი პრინცესა იოანა ტუჩინსკა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის პარალელურად, დიდ კაპიტანს, რომანი აქვს გაბმული ერთ-ერთი ამერიკული სერიალის ვარსკვლავ სოფია მილოსთან.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

# პირველი ნაბიჯი დიდი ცხოვრების გრძელ გზაზე



**ზაფხულის დღეებში ხალხმრავლობა და მისაღები გამოცდების თანმდევი ვნებათაღელვა მრავალი წელია ჩვეულებრივ ამბად იქცა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე.**



თბილისსა და ქვეყნის კიდევ თორმეტ ქალაქში გუშინ ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. მომავალ სტუდენტებს პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰქონდათ, თბილისში პირველი ნაკადი, რომელშიც 1527 კაცი იყო, ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს დილის 8 საათზე შეუდგა, მეორე ნაკადს კი გამოცდა 2 საათზე დაეწყო.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციები გამოცდებისთვის საგულდაგულოდ მოემზადნენ. ყველა აუდიტორიაში დადგმულია ტელეთვალი, რომლის მეშვეობითაც 1200 პედაგოგი და კოორდინატორი, ასევე აბიტურიენტების გულშემატკივარი, მათ თვალს ადევნებს იქვე სკვერში გამოტანილ მონიტორებზე. ბუნებრივია, რომ გამოცდებთან დაკავშირებულმა მღელვარებამ ზოგს შესაძლოა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეუქმნას, ამიტომ აქვე მორიგეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების ბრიგადა. ყოველგვარი მოულოდნელი სიტუაციის გასაუვნებელყოფად აქვე მეხანძრეებიც არიან მობილიზებულნი, ხოლო საზოგადოებრივ წესრიგს კრიმინალური და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ.



ერთი მცირედი შტრიხი: მათთვის, ვინც მზისგან თავის დაცვაზე თავადვე არ იზრუნა, საგანგებოდ ქაღალდის ქუდებს არიგებენ. თითქოს ბევრი არაფერია, მაგრამ ნამდვილად სასიამოვნო წვრილმანია.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ხსოვნა

# თამაზ ნიკოლაიშვილი



**გარდაიცვალა სამხედრო ძალებისა და აფხაზეთის ომის ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი თამაზ ნიკოლაიშვილი. იგი 1953 წლის 15 ივლისს ქ. სოხუმში დაიბადა. ქ. გაგრის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1971 წელს, შედის ქ. თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1975 წელს.**

**1975-1978 წლებში მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების საარტილერიო გამაგრებული რაიონის ოცმეთაურად, შემდეგ — საარტილერიო ბატარიის მეთაურად.**

**1978-1983 წლებში მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების ცენტრალური დაჯგუფების საარტილერიო ბატარიის მეთაურად, 1983-1895 წლებში — სომხეთის რესპუბლიკის ქ. ლენინაკანში დისლოცირებული საბჭოთა არმიის მე-7 გვარდიულ არმიაში საარტილერიო გამაგრებული რაიონის უფროს ოფიცრად.**

**1985-1990 წლებში იყო აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსი მასწავლებელი, სადაც მიჰყავდა სამხედრო ტაქტიკის კურსი.**

**1990-1992 წლებში მსახურობდა თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო ცენტრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი სასწავლო ცენტრის უფროსის პირველ მოადგილედ.**

**1992-2000 წლებში მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კათედრის მთავარი სამმართველოს უფროსის ჯერ მოადგილედ, ხოლო შემდგომში — პირველ მოადგილედ.**

**დაამუშავა და გამოსცა ნაშრომი მეთოდიკური სახელმძღვანელო კადრების მუშაკების მომზადებისათვის.**

**დიდია მისი წვლილი ქართული არმიის პირველი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. როგორც სოხუმში დაბადებული ჭეშმარიტი პატრიოტი, ის უყოყმანოდ დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და პატიოსნად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე აფხაზეთში წარმოებულ საომარ მოქმედებათა დროს. მას მიღებული აქვს სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოები.**

**სადაც არ უნდა ემუშავა ბატონ თამაზს, მას ყველგან იცნობდნენ როგორც უპატიოსნეს და უწესიერეს ადამიანს, თავისი საქმის ღრმა მცოდნეს და კომპეტენტურ პიროვნებას, კაცს, რომელსაც სხვისი ტკივილი ძალიან ახლოს მიჰქონდა საკუთარ გულთან.**

**მეგობრები, თანამშრომლები, თანამებრძოლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი თამაზის უდროოდ გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეულეს, შვილებს და ახლად შეძენილ რძალს.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!**

**კოლეგები, მეგობრები**

**არმაზ სანებლიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსულ ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თავიანთ მეგობარს ვალერი ასათიანს დედის, უსათნოესი და უკეთილშობილესი მანდილოსნის**

**თინათინ კუხალაშვილი-ასათიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ჯანსულ, ჯიმი ჩარკვიანები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვალერი ასათიანს ძვირფასი დედის**

**თინათინ კუხალაშვილი-ასათიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს თამაზ ებანოიძეს დის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, დიდებული ქალბატონის**

**ლია ებანოიძის**

**გარდაცვალების გამო.**

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

# „მოლოტოვის კოქტეილი“

**პატივცემულო რედაქცია,**

**ამ ბოლო ხანს ჩვენში ძალზე ხშირად ასახელებენ თვითნაკეთ იარაღს „მოლოტოვის კოქტეილს“. საიდან წარმოდგება ეს სახელი, როგორ უკავშირდება იგი ცნობილ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს მოლოტოვს?**

**ივანე ცერცვაძე, ქუთაისი**

„მოლოტოვის კოქტეილის“ სახელწოდება უშუალოდ მოდის ვიაჩესლავ მოლოტოვისგან, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

ვერსია მოდის საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის პერიოდიდან. ერთ-ერთი მორიგი დაბომბვის შემდეგ მოლოტოვმა თავის რადიოგამოსვლაში განაცხადა, საბჭოთა კავშირი კი არ ბომბავს ფინელებს, არამედ მათ სურსათს აწვდისო. ამის შემდეგ ფინელებმა საბჭოთა კასეტურ ბომბს შეარქვეს „მოლოტოვის პურის კალათი“, ხოლო შედარებით მომცრო ზომის ბომბებს „მოლოტოვის საპური“ უწოდეს. საპასუხოდ ფინელებმა გამოიგონეს ცხელი მასის ნარევი, რომელსაც ერთი ვერსიით თავდაპირველად ერქვა „კოქტეილი მოლოტოვისთვის“.

„მოლოტოვის კოქტეილის“ 5-ზე მეტი რეცეპტი არსებობს: ჩეხოსლოვაკია, ფრანგული, საბჭოთა, ფინური და ა. შ. მათ განასხვავებს შემადგენლობა და პროპორციული შეფარდება ბენზინისა და ნარევის მიმართ (პარაფინი, გუდრონი და ა. შ.ძ.




ითვლება, რომ თავად ბენზინის ბომბის შექმნა 1936 წ. ესპანეთის სამოქალაქო ომიდან იღებს სათავეს,. სადაც ნაციონალისტებმა გამოიყენეს ბენზინით სავსე ბოთლები ტანკების საწინააღმდეგოდ. თუმცა არსებობს ვერსიაც, რომ „მოლოტოვის კოქტეილის“ წინაპარი უფრო ადრე, 1895 წელს კუბელებმა ესპანელების წინააღმდეგ გამოიყენეს. ცეცხლის ეფექტი ფსიქოლოგიურად იმდენად დამთრგუნველი გამოდგა, რომ ნახევარ საათში ესპანელებს თეთრი დროშა გადმოუკიდიათ. ფინელები თვლიან, რომ კოქტეილის იდეა გაუჩნდა ფინური არმიის კაპიტანს ერო კუიტინენუს, რომელმაც ესპანელების გამოცდილებაზე დაყრდნობით 1937 წელს დაიწყო ბენზინის ასაფეთქებლის გაუმჯობესებული ვარიანტის კეთება.

ცნობისათვის, მოლოტოვის კოქტეილი თავდაპირველად შუშის ბოთლებში კეთდებოდა, რომელსაც პატრუქად ქსოვილის ნაჭერს უმაგრებდნენ.

**ინტერნეტის მასალების მიხედვით**

ინფორმაცია

## ოსებმა ცხრა ცხენი დაგვიბრუნეს

**სეპარატისტული** სამხრეთ ოსეთის ე.წ. სასაზღვრო სამსახურმა საქართველოს შს სამინისტძროს წარმომადგენლებს ის ცხრა ცხენი გადასცა, რომლებიც საქართველოს იმ მოქალაქეებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც ე.წ. სახელმწიფო საზღვარი 18 და 19 ივნისს დაარღვიეს. ინფორმაციას ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ავრცელებს.

— ცხოველები საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებს ევროკავშირის დამკვირვებლების თანდასწრებით გადაეცა, — იუწყება კომიტეტი. მათივე ინფორმაციით, ქართულმა მხარემ, პირუტყვის დაბრუნებისთვის ოსურ მხარეს მადლობა გადაუხადა.

შეგახსენებთ, რომ ცხენების პატრონი საქართველოს 10 მოქალაქე ოსმა სეპარატისტებმა მიმდინარე წლის 22 ივნისს განთავისუფლეს.

## დედოფლისწყაროს გიურზები შეესივნენ

**დედოფლისწყაროს** მაცხოვრებლები შესაბამისი სამსახურებისგან ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას ითხოვენ.

ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრებმა ფირუზ ჯამასპიშვილმა გიურზა საკუთარი სახლის ეზოში მოკლა. მაზოვკის დასახლებაში კი გოგიტა ყოჩიაშვილმა გველი ბავშვის საძინებელ ოთახში ნახა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს დედოფლისწყაროს რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვანო ნატროშვილმა განუცხადა, ამჟამად საავადმყოფოში გველის ნაკბენის საწინააღმდეგო პულივალენტური შრატის 2 დოზა ინახება.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

## დაიჯესტი

### ინტერვიუები არაპირად საკითხებზე



**ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი ანჯეი ვაიდა მოძრაობა „სოლიდარნოსტის“ ლიდერის ლეხ ვალენსასადმი მიძღვნილ ფილმში „ჩვენ – პოლონელი ხალხი“ პოპულარულ იტალიელ მსახიობს მონიკა ბელუჩის იღებს.** ბელუჩი იტალიელი ჟურნალისტის ორიანა ფალაჩის როლს შეასრულებს, რომელმაც თავის დროზე ინტერვიუები ისეთ ცნობილ პიროვნებებს ჩამოართვა, როგორებიც ლიბიის ჯამაჰირიის ლიდერი, ამჟამად საერთაშორისო სასამართლოს მიერ ძებნილი მუამარ კადაფი, პალესტინის აწ განსვენებული ლიდერი იასირ არაფატი, დიდი იტალიელი კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი და თავად ლეხ ვალენსა არიან.

### საკუთარი შვილი... სუროგატი დედისგან

**ჰოლივუდის ვარსკვლავს, წარმოშობით ავსტრალიელ ნიკოლ კიდმანს, როგორც ჩანს, არანაირად არ აშინებს ის სიძნელეები, რომლებსაც შეიძლება მშობელი პატარა ბავშვებთან მოგზაურობისას გადააწყდეს.** ქმართან, მუსიკოს კიტ ურბანთან ერთად მან ევროპაში სამი წლის სანდი როუზი და სულ ხუთი თვის ფეით მარგარეტი წაიყვანა.



ჟურნალისტები გამუდმებით იხსენებენ იმას, რომ სანდი როუზი ნიკოლმა თვითონ, 2008 წლის 7 ივლისს გააჩინა, ხოლო ფეით მარგარეტი 2010 წლის 28 დეკემბერს სუროგატმა დედამ შვა. ბიოლოგიურად ფეით მარგარეტი კიდმანისა და ურბანის შვილია, სუროგატმა დედამ კი ბავშვი მხოლოდ მუცლით ატარა.

### „მწვანე მეძებრები“

**კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის ბიოლოგებმა მცენარეებს ჰაერში ტროტილის შემცველობაზე რეაგირება „ასწავლეს“.**

**– იმის გამო, რომ მცენარეებს არც დამალვა, არც გაქცევა არ შეუძლიათ, მათ საფრთხეთა გამოვლენისა და გარემოში ცვლილებებზე რეაგირების რთული სისტემა შეიმუშავეს, – ამბობენ მეცნიერები.**



როგორც კი „გაწვრთნილ“ მცენარეთა რეცეპტორები ჰაერში ტროტილის თუნდაც მინიმალურ შემცველობას დაადგენენ, მათი ფოთლები ქლოროფილის დაკარგვას იწყებენ და, ფაქტობრივად, უფერულდებიან. საფრთხეზე ამ სახით რეაგირების სწავლება პრაქტიკულად ნებისმიერი მცენარისთვის შეიძლება. ამასთან, შეცდომები გამორიცხულია, რადგან „მწვანე მეძებრები“ ნებისმიერი გაწვრთნილი ძაღლის ყნოსვაზე ასჯერ უფრო მგრძნობიარენი არიან.

ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მცენარე-დეტექტორების პრაქტიკაში გამოყენებას არ უწყობს ხელს, ესაა რეაქციის გამოვლენის დრო. ჯერჯერობით ის რამდენიმე საათს შეადგენს, მაგრამ მეცნიერები მის რამდენიმე წამამდე დაყვანას იმედოვნებენ.

### თინკერბელის „ძაღლური“ ცხოვრება

**პერის ჰილტონი, სასტუმროების „ჰილტონების“ იმპერიის მეპატრონის მემკვიდრე, მაღალი საზოგაოების ნამდვილი ვარსკვლავი და ძაღლების თავგაკლული ტრფიალია.**

სწორედ პერისმა შემოიღო ჯუჯა ძაღლებზე მოდა, რომელთა გარეშე არსად არ დადის. ჟურნალისტებმა ვერაფრით დათვალეს რამდენი ძაღლი ჰყავს „შოკოლადში ამოვლებულ ქერათმიან ლამაზმანს“, რომლებისთვის საგანგებოდ ყიდულობს მსოფლიოში ცნობილი საიუველირო ბრენდების ძვირფას სამკაულებს. მაგრამ მისი სადარბაზო ბარათი მაინც ჩიხუახუას ჯიშის ძაღლი თინკერბელია, ცხოველი, რომელზეც ამერიკაში ყველაზე მეტს ჭორაობენ.



პერისს თინკერბელი მაღალი საზოგადოების ყველა წვეულებასა და საქველმოქმედო აქციაზე თან დაჰყავდა, რის შემდეგ ძაღლი ისეთი პოპულარული გახდა, რომ... მისი პაროდირებაც კი დაიწყეს, მისი მსგავსი ძაღლი „პინკ სთუპიდის“ ვიდეოკლიპსა და სუპერპოპულარულ მულტსერიალში „სამხრეთის პარკში“ გადაიღეს. ხუთი წლის წინათ თინკერბელი დაიკარგა, ხოლო პერის ჰილტონმა განგაში მთელ ამერიკაში ატეხა. ძაღლის მპოვნელისთვის პრემია დააწესეს, 5 ათასი დოლარი. თინკერბელის ძებნას ყველანი შეუდგნენ, მათ შორის... საზღვაო ფეხოსნებიც კი და ბოლოს მიაგნეს კიდეც. თავქარიან პერისს ჩიხუახუა... მშობლების სახლში დარჩენია...

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ლუი VI-ს მეტსახელი იყო სქელი, ლუი VII-ს – უმცროსი, ლუი IX-ს წმინდა ლუი, XV-ს – მშვენიერი და ლუი XIII-ის კი სამართლიანი.

● ჩინელებმა მონღოლებისგან თავის დასაცავად უზარმაზარი კედელი ააგეს.

● რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ სადალაქოში ასეთ პლაკატს წააწყდებით: „ადმინისტრაცია პატივცემულ კლიენტებს სთხოვს, წვერის პარსვის დროს დალაქთან ნუ ჩამოაგდებენ საუბარს პოლიტიკასა და ფეხბურთზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს კლიენტის უსაფრთხოებაზე“.

● შუა საუკუნეების ევროპაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტანსაცმლის ფერს. X საუკუნეში წითელი ფერი მოდური აღარ იყო, მისი ადგილი მოლურჯო-მომწვანო ფერებს დაეთმო. წითელი სალებავებით მოვაჭრე გერმანელი ვაჭრები გაკოტრების პირას მივიდნენ და დახმარებისთვის მხატვრებს მიმართეს. მხატვრებმა კი მომწვანო-მოლურჯო ფერებით ეშმაკის გამოსახვა დაიწყეს, რითაც ახალ მოდას დისკრედიტაცია გაუწიეს.

● შუა საუკუნეების ევროპაში ხშირად მძვინვარებდა შიმშილი. არისტოკრატია მას უფასო ხორბლის დარიგებით ებრძოდა. 1286 წლის გაზაფხულზე პარიზის ეპისკოპოსმა ხალხის დაპურების უფრო იაფი საშუალება გამონახა, მაგრამ ამან მხოლოდ პირველ წელს გამოიღო ნაყოფი. ეს გახლდათ დიდ მარხვაში ხალხისთვის ხორცის ჭამის უფლების მიცემა.

● ცნობილია, რომ შეტევისას საბჭოთა არმიის სატანკო შენაერთებისა და ფეხოსანთა დანაყოფების მოქმედება აბსოლუტურად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების შესაბამისი სამხედრო ნაწილების მოქმედებებისაგან, რადგანაც შეტევაზე პირველად მიდიოდა საბჭოთა ფეხოსანთა დანაყოფი, მას შემდეგ კი – სატანკო შენაერთი. სხვა ქვეყნების არმიებში კი პირიქით ხდებოდა.

● რომის სენატმა გადაწყვიტა, რომ ქალაქის ცენტრში, ბოძებზე, სპილენძის ფირფიტები ჩამოეკიდებინათ,რომლებზეც ამოტვიფრული იქნებოდა რომის კანონები. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ რომის იურისტები, რომლებიც კანონების ცოდნაზე მონოპოლიას კარგავდნენ.

● კოცნა სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრისას დაამკვიდრა ნიკიტა ხრუშჩოვმა – ძმობისა და გულითადი მეგობრობის გამოსახატავად, რაც კარგად აითვისეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსებმა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– მამი, არ გამიწყრები?
– გააჩნია, რა მოხდა.
– ყავა დამესხა.
– ეგ არაფერია.
– მეც ვფიქრობ, რომ არაფერია, მაგრამ შენი კომპიუტერი ასე არ ფიქრობს.. ის ახლა საერთოდ არ ფიქრობს.



* * *

– უნდა გახსოვდეთ, რომ ლოთობისა და სიგარეტის წევისთვის თქვენ ჯანმრთელობით მოგიწევთ გადახდა! – ეუბნება ექიმი პაციენტს.
– ეჰ, მარტო ჯანმრთელობით რომ მიწევდეს, ექიმო! ვერ წარმოიდგენთ, რა ფული ჯდება ეს ყველაფერი!

* * *

სიცოცხლე – ეს გვირაბია, რომლის ბოლოშიც არაფერი არ ანათებს.

* * *

ჩვეულებრივ იუმორის გრძნობის არქონა თანხვდება რეალობის გრძნობის უქონლობას.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24